 სხვა დროშა ქვეყნად  
 მის მაგიერი  
 რა საჭიროა!  
 თავისუფლების  
 დროშებით შრომის  
 ტრიალებს ჩარხი;  
 წინააღმდეგი  
 სისხლიან ომის.  
 წინ იწევს ხალხი.

არ აწეულა  
 არსად დიდ გრძნობის  
 მცნება ახალი  
 ხალხთა ძმობისა  
 და მეგობრობის  
 დროშა მალალი,  
 ვით ჩვენში. მძლეა  
 ეს მეგობრობა,  
 ძმობაც მჭიდროა...  
 რა სჯობნის ძმობას?  
 შური და მტრობა  
 რა საჭიროა?

ბრწყინავდეს ძმობა,  
 ვით მაგალითთა  
 მაგალითობა,  
 ადამიანი  
 მიზნისკენ მიღის  
 და სურს მშვიდობა.  
 ადამიანთა  
 მაღალი, სადა  
 და მშენიერი  
 გამომუშავდა  
 გზა თვისებათა  
 დენა ძლიერი.  
 თვისებათ მათთა  
 პირველი მცნება  
 არის გმირობა,  
 როგორც ხვალინდელ  
 დღის გამიზნება,  
 როგორც პირობა.  
 მას სურს გამოთქვას  
 გრძნობა მახვილი  
 ნაგრძნობ-ნანახი,  
 თვისება ხალხის,  
 ოცნება ხალხის  
 და თვითონ ხალხი!

ჩანს საფეხური  
 ახალი სრულად,  
 დადგა მხატვარი,  
 ტილო გაშალა.  
 სად დიდებულად  
 უდგას მხარს მხარი.

ახალი სიტყვა,  
 ახალი ფერი,  
 მუყაითობა,  
 სიცოცხლის სუნთქვა  
 და ცველაფერი  
 არის მშეიღობა.  
 ხედავთ: მხატვრულთა  
 აზრთ სიღიაღის  
 პირველი სახე —  
 იყო, არის და  
 იქნეს მარადის  
 მგზნებარე ხალხი.

ბრწყინავს სანათლე  
 შენი, იდეა!  
 იქ, სადაც ფარად  
 მიზნის სისწორე  
 და სიწმინდეა  
 უკვდავი მარად,  
 დღეს არეის მართებს, —  
 სულმოქლეობა  
 სამარცხვინოა,  
 ვის რას შემატებს,  
 უიდეობა  
 რა საჭიროა?  
 იდეა კი ზრდა  
 და სიღიდეა  
 და ბეჯითობა.  
 მუდამ ცველაზე  
 დიდი იდეა  
 არის მშეიღობა.

სახეც იცვლება,  
 დრონი მიღიან,  
 მაგრამ ფრთალაღი,  
 დიდ იდეათა  
 დღეს ზე იდეა —  
 ესაა ხალხი.  
 ვინ შექმნა რამე  
 თქმით: „ხელოვნება  
 ხელოვნებისთვის“?  
 დახელოვნება  
 და გემოვნება  
 გვსურს მშრომელისთვის.  
 სხვა ინტერესი  
 არავითარი  
 ინტერესთ გარდა,  
 რომლითაც ხალხი  
 ასე მდიდარი  
 გზით წარემართა.  
 ესაა რწმენა  
 უგულწრფელესი  
 ყოველ სიახლის,  
 რომ შეეწიროს  
 სხვა ინტერესი  
 ინტერესს ხალხის!  
 მრავალ ომებში  
 აღზრდილ-ნაწილობის  
 გამოცდილთ გზანი  
 და სწორი აღზრდა  
 ახალგაზრდობის —  
 აი მიზანი!  
 გახედავ სხვაგან:  
 ახალგაზრდობა

უმწიფეროა,  
 და ხშირად ამბობს:  
 „ცენტრულება, გრძნობა  
 რა საქიროა“.

პა, საქიროა  
 და მერე როგორ:  
 სიცოცხლის გრძნობა  
 უნდა თავისად  
 იცნო, დაზოგო,  
 როგორც მშეიღობა.

და არა მარტო  
 დღეისის ხელი,  
 მრავალთ მრავალი  
 წიგნებში მოჩანს  
 დღე ხვალინდელი  
 გზა წინ მავალი.  
 და აქაც, როგორც  
 მიღწევა დიდი  
 და დიდი წრთობა,  
 შემოქმედების  
 ჩანს შრომა მშეიღი  
 და ჩანს მშეიღობა.

არ არის არსად  
 სიტყვათა მოდგმა,  
 რაც ქვეყნად ითქვა  
 უფრო ძლიერი,  
 ვინემ გამოთქმა:  
 ახალი სიტყვა.  
 ახალი სიტყვით

ჩნდება მანვილი  
ნაგრძნობ-ნანახი,  
თვისება ხალხის,  
ოცნება ხალხის,  
გენია ხალხის  
არ არის არსად  
სხივთ აღმატება  
თვით ცის წიალის,  
უფრო ნათელი,  
ვინემ ხატება  
ახალის სახის.

ახალი სახე,  
ახალი სახე,  
ახალი სახე,  
თვისება ხალხის,  
ოცნება ხალხის  
და თვითონ ხალხი  
არ არის არსად  
ამ ახალ სახეთ  
უფრო ძლიერი  
რამე წარმტაცი,  
ვინემ ჩვენთა დღეთ  
ახალი ფერი.

ახალო ფერო,  
შენ სამშობლის  
ხარ ახალი ხმა,  
შენ სიხარული  
ხარ ჩვენი დროს,  
მისი გულისფერა.

არა, არ არის  
 შემცველი ქანგის  
 მგოსანთა კერა,  
 მძლავრად გაისმის  
 ახალი ჩანგის  
 ახალი ულერა!

უძლეველია  
 დროშა სიახლის,  
 ვისთვის და რისთვის?  
 ყველაფერი ხალხს,  
 სიცოცხლეც ხალხის  
 სიკეთისათვის!  
 განა დრო არის  
 მუხლებზე ჩოქვის?  
 მიჰყევ, გაასწრე!  
 აი, დიადი ჩვენი ეპოქის  
 ლრმა დედააზრი.

არა უსაგნო  
 ოცნების ჰანგით  
 უღერს ხელოვნება —  
 დიდი ცხოვრების  
 სიმართლის ჩანგით  
 მიღის ცხოვრება.  
 წარსულში კარგი  
 არწარსულია,  
 სვეა გულების,  
 სიუხვით მქმნელი  
 მაღალსულიერ  
 ღირებულების.

არის ქვეყანა,  
 სად ვერვინ იტყვის,  
 რომ შვებას იტევ.  
 დღე იყო სისხლის  
 და არ განკითხვის  
 შენი, ეგვიპტე!  
 იყო სისხლის ღვრა,  
 და იყო ფერფლი,  
 და იყო ნისლი...  
 ნუთუ არ კმარა  
 ამდენი მსხვერპლი,  
 ამდენი სისხლი?

და ვამბობთ მაშინ:  
 დაიდოს ზაეი,  
 დროა გადაწყდეს,  
 და შემოსეულ  
 ჯარების ზეაეი  
 ეგვიპტეს გასცდეს.  
 იარაღასხმულ  
 ჯართ შემცირება  
 როცა მოხდება,  
 შემსუბუქება  
 არამცირედად  
 გულთ აღმოხდება.  
 აი, საითკენ  
 მიისწრაფვი, სვევ,  
 საითკენა სწევ,  
 ჩვენო მეოცე  
 საუკუნის მზევ,  
 საყვარელო მზევ!

არე-მიდამოს  
 სინათლეში ხვევ  
 და ვარდებით რთავ...  
 გვინათე, ჩვენო  
 საყვარელო მზევ,  
 საყვარელო ცავ!  
 ჰიმნი მომავალს!  
 ვაშუქებთ ხევებს  
 თუ გაგვყავს არნი,  
 ახალს და ახალს  
 ითვლის მიღწევებს  
 საბჭოთა ხალხი.

კოლგა-დონისა  
 და თბილისის ზღვას  
 წაშლია ზღვარი,  
 ძმობა-ერთობა  
 ალარა სდებს ზღვარს,  
 ერთია ქნარი!

ოდეს შეიძრა  
 ის დიდი დილა  
 სიელვარეში,  
 ისე გზა წინსვლის  
 არსალ გაშლილა —  
 ვით ჩეენს მხარეში.  
 ჩეენი მეოცე  
 საუკუნის ხმა  
 კიდით კიდობა,  
 უძლეველია,  
 მან ხმამალლა თქვა:  
 — იყოს მშიცლობა!

შრომაშ იმ დღიდან  
 მოიტანია  
 ქვეშ ძველი თალხი,  
 მშვიდობისაკენ  
 დიდი ხანია  
 დაიძრა ხალხი!

არასდროს დიდი  
 დროშა გონების  
 ამგვარად მაღლა  
 არ აწეულა,  
 გამოგონების  
 ხანაა ახლა.  
 გონების დროშის  
 წვა, გადანახვა,  
 სასაცილოა...  
 რა საჭიროა  
 მის არ დანახვა,  
 რა საჭიროა.  
 ავწიოთ მაღლა,  
 ქვლავ უფრო მაღლა,  
 ამ დროშათ ნდობა,  
 თუ ჩწმენათ ჩწმენის  
 დიადი ტალღა  
 არის მშვიდობა!

თუ იქნა ძეელი  
 ქვეყნის დაქრძალვა,  
 ვინ დალონდება,  
 თუ ატომური  
 ძალის აქრძალვა

დაკანონდება,  
 მხარეთა შორის  
 სიტყვა მშვიდობის  
 თუ დაიდება,  
 რა გვეთქმის თუ არ  
 მშვიდობის ცნობის  
 ქება-დიდება.  
 ხელი ხელს მივცეთ,  
 ერთად ვიაროთ,  
 ნუ ითუთქებით,  
 ჰირი და ლხინი  
 გავიზიაროთ,  
 როს გზას ვუდგებით.

ო, მეგობარო,  
 მსურს განგიმარტო:  
 წინ ველი, მთები  
 და ვრცელი გზაა.  
 შორ გზას კი მარტო  
 ნუ გაუდგები:  
 ახალი შუქით  
 მოელვარე  
 მაროკოს, ტუნისს  
 შენ ისევ სხივით  
 აელვარებ, მხარევ  
 მათ ძე-დუნის.  
 ექვსას მილიონ  
 მკვიდრთ დიდი მიწა,  
 ულრუბლო ზეცა,  
 მზემ ჩინეთს მთელი

ქვეყანა მისცა  
და ზღვათა ბჭეცა.



ახალ-ახალი  
ფერი რომ მოდის,  
ხატაეთს ხატავს,  
ყველას ახარებს,  
ქვეყანას ოდეს  
მხატვარი მართავს.  
მაგრამ რას ნიშნავს,  
სულ სხვაგვარ წონის  
ხშირი ბაზებით  
რომ მოისწრაფვის  
ვაუბატონი ის  
გაკაპასებით.  
და, ჰა, ბაზების  
ტბები ამგვარი  
ჯაჭვით და ჯავშნით  
ლამობს მოაწყდეს,  
ვით ნიაღვარი,  
საბჭოთა ქავშირს.

დადი ჩინეთი სურთ  
მსხვერპლად ნახონ  
ცაცხლის და ტყვიის  
და მხარეები  
მოსპონ სახალხო  
დემოკრატიის.  
მხოლოდ თავისთვის  
აშალებდეს თოქს  
იგი არმია, —

შეუერთდესო  
 ატლანტიკის ბლოკის  
 რაც პლატფორმია,  
 ო, ამერიკა!  
 არ არის აგრე  
 იქნეს ფინალი.  
 სხვა არის ჩვენი  
 ციხე-სიმაგრე,  
 და არსენალი.

რა მიზანი აქვთ  
 ამნაირ ბაზებს  
 თუ არა ხოცვა,  
 რას უღერს ევროპის,  
 გინდა აზიის  
 ეს გარემოცვა?  
 ჩრდილოეთიდან  
 სკანდინავიის  
 ქვეყნების რიგით,  
 თუ არ სწყურია  
 კაცთა სიავე,  
 რად თელავს იგი?!

სამხრეთიდანც  
 ან ოსმალეთის  
 და საბერძნეთის  
 ბაზებით რად სურთ  
 გამოცდა ბედის,  
 განწირულ ბედის?  
 დასავლეთიდან  
 კიდევ დასავლეთ  
 ევროპის მხარეს

დახმარებითა  
 და რჩევა-სწავლით  
 რად იწევს ცხარედ.  
 აში დასაბამით  
 აგერა დღემდის  
 გუნდად და გუნდად  
 როდემდის კვნესდეს  
 ხალხი? როდემდის  
 იტანჯოს უნდა?  
 მაგრამ მწვერვალს დგას  
 მშეიძობის ზარი.  
 ლოდინის ეამით  
 ის დიდხანს, დიდხანს  
 იყო მდუმარე.

დიდი ლენინით  
 ზარის ენისა  
 ჰეოვეს ბაწარი —  
 უხმეს სიმშვიდეს,  
 მოსწიეს, მძლავრად  
 დარეკეს ზარი,  
 კიდევ და კიდევ.  
 და, პა, დუმილმა  
 მოიხსნა რიდე,  
 შვების მდომელი.  
 აში გრგვინავს ზარის  
 ძალა, სილიდე,  
 დაუცხრომელი.  
 განუზომელთა  
 მოედო არეს,  
 შესძრა, გასწყვიტა

წყვდიადის ბაღე,  
ასე მთვლემარე.



გადალახა რა  
ყველა საზღვარი,  
მანამდე მყარი,  
გვეძახის ზარი,  
გეგუნებს ზარი,  
გრიალებს ზარი,  
რომ ჩვენ აქ ვშრომობთ,  
რომ ანთებს ხევებს,  
თუ გაპყავს არხი,  
ახალს და ახალს  
ითვლის მიღწევებს  
საბჭოთა ხალხი;  
რომ აქ ბუნების  
გარდაქმნის მოწმეს,  
ბუნების ფაზებს,  
ჰპოვებს მსოფლიო  
ახალ სიცოცხლეს  
და სილამაზეს,  
რომ თითქმის ორმოც  
წლის გზაშ ძლიერება  
განვლო მას შემდეგ,  
რაც უმართლობის  
სკლას ოქტომბერმა  
შესძახა: „შესდექ!“  
რომ კომუნიზმში  
გადამსელელთ ტომებს  
სწყურისთ მშეიდობა,  
რომ დროა, დროა

შეიჩყეს ომის  
უაմიջობა,  
աչկացքը գրո ჩვեნს  
մշեմ տառօձան —  
միշեմ օնս աշլենոն.  
ցածա մշշութոնն  
պաշտ մեղրո՛մեն!  
գոգեծա լլենոն!



# ობევისა და თარეშის წინააღმდეგ

\* \* \*

მიტლერის გულში უდავო  
 რღვევის და გახრწნის ტბორია,  
 რად უნდა, აბა რად უნდა  
 სხვა ერთა ტერიტორია?

რად ენატჩება მსოფლიო  
 ფალავნის მძლეთა-მძლეობა,  
 ოდეს სულშესუთულია  
 თვით მისი მოსახლეობა.

სად ეძებ ნავთს და ქვანახშირს,  
 რად გინდა რეინის მაღანი,  
 რომ იმ მაღარომ დაგმარხოს  
 სიმძიმე ვერასატანი?

რად გინდა თუჯის, ფოლადის,  
 ოქროს და ვერცხლის ბუდობი,  
 გამოგლეჯილი სხვათაგან  
 დაუნდობლობა-მრუდობით?

ქიდევ და ქიდევ რამდენი  
 მომზადებაში ეფლობა  
 სიუხვე კაუჩუკისა  
 და გემთა ამშენებლობა?

ან შვრიის, ჭვავის, ბორჯალის  
 ველები ოქრო-სიმინდთა,  
 რად გინდა ბამბის ფართობი.  
 ქერი, კანაფი რად გინდა?

რად გინდა, რისთვის გაშენდა  
 ველთ-საძოვარი ხშირისა,  
 რქიანთა, ცხენთა და ცხვართა  
 ველები იორქშირისა?

ალართები რინიგზებისა  
 და გემთა მძიმე ტონაეი,  
 ფრანკების, მარქის, ლირების  
 და დოლარების კონაში.

ჰაეროპლანი, ტანკები,  
 ავტომობილი ამდენი,  
 მრავალი ვალის და ვახშის  
 გზით მშრომელების გამდენი,

რად გინდა აელვარება  
 ქვათა ძვირფასთა ფერების?  
 არ არის, შენთვის არ არის  
 აქ წვეთი ბეღნიერების!

ვმ! ეინ სთქვა, თითქოს მსოფლიოს  
 დაყრობას დიდი დრო უნდა,  
 ელვისებური სისწრაფით  
 გაბატონება მოუნდა...

აგერ მოადგა ჩეენს საზღვარს...  
 რა მადა, რა სიხარბეა.  
 — შესდექ! ჰა, კიდეც დაიძრა  
 ჩეენი წითელი არმია!

1941

\* \* \*

საღამო ხანად  
                   ელვარე რამა  
 მოეფინება  
                   პროსპექტებს თრთოლა:  
 კინო-თეატრი.  
                   ბრწყინავს რეკლამა  
 და ასოები  
                   იქლემთა ტოლა.  
 საღაც სინათლის  
                   იღვრება ზვავი,  
 დაშმონებელი,  
                   როგორც ნექტარი,  
 ბავშვის თვალები  
                   დაუნისლავი  
 ისე ფეთქს, როგორც  
                   ეს პროექტორი.  
 შიგნით რა მძაფრი  
                   სიცილი ისმის,  
 რა სურნელების  
                   სცემს უცხოეთი.

სადღაც, გარეშე  
 სოციალიზმის,  
 არტისტი, ბრძენი,  
 მოგვი, პოეტი —  
 რალაც ზედმეტად  
 ყალბად ხატია,  
 და, თავის თავში  
 სხვაგვარად ზრდილი,  
 ურცხვად თავს ახვევს  
 „დემოკრატიას“  
 ყვილაფერს, რასაც  
 პქვია უტილი.

• • •

მოწმეა ჩბევის და თარეშის ხვადგურის  
ბინდუნდი საზიზღარ რეინიგზის სადგურის,

აგზავნის სადღაცა კუბოებს — ვაგონებს  
და მათი კივილი იმ დღეებს მაგონებს,

როდესაც ამ გზებზე გაეკრა ვაება...  
ნუთუ ის კივილი ლიანდაგს ჩაება?

• • •

მგელი ბატყანს  
 შეხვდა ნავსაღ.  
 შექრთა.  
 დაიბანდა...  
 ცად კი ერთი  
 კასრის მსგავსად  
 მთვარის დისკო  
 ჩანდა.

მგელმა ბატყანს  
 ჰეითხა:  
 — კასრის  
 მსგავსი რაა  
 გარეთ?  
 ბატყანმა სთქვა:  
 — ჩემის აზრით,  
 ცაზე ბრწყინვას  
 მთვარე...

მგელმა ბატყანს  
 (რა გვონიათ?)

გაჰკერა ქმალი  
ბასრი:

— როგორ ჰქონდავ,  
იქონიო,  
საკუთარი  
აზრი?



## కొనెట్‌టో

ఒక్కాన్నేత జ్యేష  
శుభంలాం,  
ఉసాంశ్లోవర్మ సార్జీ,  
సార్జీ సిగ్రిప్రిసా  
ఎయిం బాన్‌  
థర్మాగ్వాల్ ఎంతైథిసి,  
డా నాచ్చిల్స్‌బి  
అతాసగ్వార్సి  
క్లేరోడ్రెన్ ప్రాల్-ప్రాల్జీ,  
అతాసగ్వార్ మెగ్రేగ్రెలిస  
డా మెంట్రోలిం  
స్క్రే గ్రిగాన్‌ర్మేథిసి.

మాతి శ్రేష్ఠేథి  
సాతింతాండ  
స్ట్రీప్పురుండా మెంట్రోసి,  
మెంట్రోసి, రుమ్మెల్సాప  
డిడ సాంక్రేలాడ  
క్లేవొ ప్రెంట్రేథా.  
ఏ మెంట్రోతిథిల్స్‌బిం,  
ఏ సాతింతాడ

కృష్ణరెడు ఎం నార్థురాస,  
కుండాలు స్థియురులుడా  
మిసి రింగ్ డా  
స్థించుకొవర్కుడా.

మోట్రోలీస్ నాచ్చిల్లత  
ఉబుల్లంట  
సిప్రోలైట్ ట్రింపాల్స్  
అమ్మించిన్నెబులు  
డాక్షిష్టుఫ్రేండులు,  
గ్రహించి మోక్కులు,  
ఇస గామించుదుగు  
నాచ్చిల్లేబులు  
గ్రహించువాలు డా గ్రింపాల్స్,  
ఇస డాయ్రోలా  
శురుంగాన్నులు  
అంబుంజ్యుర్కులు.

శేబుక్కు, శేక్కురా  
డా గాల్చుసా  
నాచ్చిల్లతా త్వేంపి,  
అమ్లైల్వార్కుభులు  
త్వేంతత మిస్టింపులు  
గాశ్లుల్లిల్సా డా మిస్టిం  
గ్రీండ ల్యాప్యున్‌  
టార్ మిసిస్‌బ్లుప్‌  
గ్రహించుతిస ప్రిం.  
డా టార్‌సి సాంగ్  
మ్యూమింగ్‌  
డాల్గు పింక్‌ల్యాప్‌సిం,  
అలార్ శుంఖుల్లేబు  
ఎమ శేంక్‌వ్యుల్రులు.

აშრო შენელება,  
 ერთმანეთისთვის  
 სამუდამო  
 ზიზღით, უშორეს  
 მზერით თვალების  
 უნდობი და  
 მწარე ცელება  
 შესცეცებია  
 სასიკვდილოდ  
 ერთი მეორეს,

აღარ მოხდება  
 განწირული  
 ბასრი გახელეით,  
 დასაბამიდან  
 დღევანდლამდე  
 თუ ასე, ოდით,  
 მათი თვალები  
 სავსე არის  
 უმძაფრეს ღელვით,  
 მათი თვალები  
 ენთებიან  
 მომავალ შტოთით.

დაუნდობელი  
 შეაცივდა  
 თვალები თვალებს...  
 ო, რა წამია,  
 თვალი თვალში  
 ჩოგორ ეფლობა!

ଗୁରୁତିଥିଲେ ମେହରୀଙ୍କ  
ଅଳ୍ପାଲ୍ପିକାରୀ  
ଏହି ଶ୍ରେଷ୍ଠବ୍ରାହ୍ମିକାଙ୍କ  
ତ୍ଵାଲ୍ପିତ ଦାଶମରୀଙ୍କିଳି  
ସାମ୍ରାଜ୍ୟଧାରୀ  
ଶ୍ରେଷ୍ଠବ୍ରାହ୍ମିକାଙ୍କ  
ଅଶ୍ରୀତ ତ୍ଵାଲ୍ପିତ  
ମନସିସିନ୍ଦ୍ରିୟରେ  
ପିଶାଚିଙ୍କା ଦେଖିଲି,  
ଦା ବ୍ରାହ୍ମିକା  
ମନ୍ଦିଳରେ ହିନ୍ଦୁତିଥିଲି.

1946



# ხალხი პარიზის გარემოცვაში

### ౩ ౧ ౬ ౦ %

పారంశిస కెమ్మేల్లతాశ్చూచ శిల్పాసంగాన్  
అలారూ వ్యేశ క్వాశిరూ,  
శేర్చ్చదా క్రాల్మాన్నిఎబిడాన్  
న్యాతిం డా క్వానొబ్శిరూ.

ఏర్ప గ్హోబింత త్రీరాణ్సార్లాన్త్రీంస  
శ్వేలాస అలార మంగ్లిస,  
ఎంసిం కెంచి శ్వేలిసాత్విస  
కెంచి శ్వేంబ్రంత్వేలిస.

సామ్ముఖ్యేబ్రంగ్ గ్రుంగాలిస థీన  
ఱ్గిం మార్త్రిందమార్త్రిం,  
ఇస నెగ్లిసిమా ఎంచ్చేర్చేల  
క్వాన్కాల్శి మింత్రంగా.

ఎంగ్లిసి త్విస శ్వాశ్లంగ్సే  
క్షుండ్శ్లుబ్బిం మాగ్రిండ్బా,  
ఎమ్మిండ్బా తావ్లాప్రువిసత్విస,  
శ్వాశ్లం పార్మాల్డ్బా.

గామాగ్రీబ్శ్లుల్ మాశిన్సిస  
మెర్చింప్పు కొశి ఏప్పెమా,

სომის წინააღმდეგობა  
ტყდება და ილეჭება.



შეძლებულნი თავის ოქროს  
შიშით ხელს აფარებენ,  
ამერიკის შეერთებულ  
შტატში მიაქანებენ.

პანიკაა და სატახტო  
ქალაქს ტოვებს მთავრობა,  
სხვაა მათი სევდიანზე  
სევდიანი მგზავრობა.

მსწრაფლ შეინძრა ყველაფერი  
ამბავთა დასასკვნელად,  
დღეს გამოდის გაზეთები  
ვაგლახ! — უკანასკნელად.

ნანძრის კვამლმა უამრავმა  
გადაფარა პარიზი  
და საშიშრად გაანათა  
სიბნელე უარესი.

ქუჩად დგამენ ბარიკადებს,  
მსგავსებს უღრან ხევების  
და ქუჩებზე იწვართება  
წყება ტყვიამფრქვევების.

აქა-იქ ჩანს ბარიკადზე  
აღმართული ბანაკი,

თავგანწირულობისათვის  
ემზადება ქალაქი.



ვერსალისკენ სამხრეთი გზა  
მოძრაობით მორბილდა,  
შეუწყვეტლივ იზღაუნება  
მწკრივი აეტომობილთა.

აქ საბარგო მანქანები,  
იქ ურმების გრიალი,  
ზურგით ნივთებს ეზიდება  
ლარიბ-ოხერ-ტიალი.

და ძვალ-კანად გადაქცეულთ,  
ქალნი სუსტი ხელებით  
ეწევიან ფერმერთალ ბავშვებს,  
სნეულთ ციებ-ცხელებით.

საცოდავი იგი ბავშვი!  
კიდევ შერჩა მხნეობა,  
მის შიშა ცვლის გაკვირვება,  
ცნობისმოყვარეობა.

არეულა ერთმანეთში  
ლარიბი და მდიდარი,  
ყველა ერთად მიისწრაფვის  
და სხვა არაეითარი...

მიისწრაფვის, რომ დატოვოს  
პარიზის გზა, ბაზარი!

სადაც სიკვდილს გაუშლია  
ფრთხები უზარმაშარი.



რჩება ბედის ანაბარად  
შენობები მდიდრების,  
ბანები, ფირმა — მოწმე მწარე  
შიშის და გაფიტრების.

მიატოვა შეძლებულმა  
ის ვილლა და ჰიტელი,  
ის სასახლე, იგი ბალი,  
ნიმფა და ასფოდელი.

ბუდე სენთა, დამნაშავეთ,  
გაქირვებულ-მშიერთა,  
შესახვევი ბნელზე ბნელი  
უცებ დაცარიელდა.

სან-მარსო სენ-ანტუანის,  
წმინდა მარგალიტასი  
არ აღელვებს აწ არავის  
მოგონება ძვირფასი.

დაცხრა ბირჟა მრეწველების  
სკვერი მარეს ქვარტალის,  
ყოველივე მორჩილია  
შიშის, — მთავარსარდალის.

ფამრიკების და ქარხნების  
დგას ჩრდილები გრძნეული,

წითელ რკალად რთულ პარიზის  
ტანზე შემოხვეული.



საით? ეისთან? დაიკარგა  
შრომა ჩვენი, იმათიც  
და სიცოცხლეც აღარაა  
ნუგეში და იმედი.

ნაპოლეონს ჰქონდა ერთი  
რწმენა და დაჯერება —  
ერთი გადამწყვეტი დარტყმით  
ერთა გაცამტვერება.

ამ დარტყმაში დაგროვება  
ყოველგვარი ძალლონის, —  
ტალღიანთა დაჯახებას  
თან სდევენ უტალლონიც.

გერმანიამაც უბადლო  
მოსაზრების თანახმად  
ისე სწრაფად და ცბიერად,  
თვალს უჭირდეს დანახვა —

დაპკრა ერთს და იმავ დროს  
ზურგია თუ ფლანგები,  
მთელი თავის ენერგიით,  
სასიკვდილო განგებით.

დაარტყა რა გაწრთვნილ ჯარით  
ელვისებურ ტემპებით,  
ფაქტიური უეპრობის  
შემტევ გადარბევებით.

სტიქის მსგავს შეტევებით  
 დაუნდობლად დააწეა  
 და მსწრაფლ მიაბნ-მოაბნია  
 საფრანგეთის თავდაცვა.

და მედგრად კონტრშემოტევის  
 დაფუძნა იერიშები  
 ზუსტი მათემატიკური  
 გამოანგარიშებით.

განლაგებულ მებრძოლების  
 ურთიერთი ქმედობა,  
 თვითმფრინავთა და ტანკათა  
 კორპუსებით შეტოპა.

ყუმბარათმშენ ძლიერებით  
 დასძრა არტილერია,  
 მაღლით გამნადგურებლების  
 ქარბუქი შეერია.

ერთ კვირაში მან ფლანდრია  
 მოგონებად აქცია,  
 გადალახა ის ფლანდრია  
 და პარიზს მიაღწია.

და ქალაქი ბუმბერაზი,  
 ისეთ ომებს ჩვეული,  
 ისეთ გარემოცვათ რყალში  
 არა ერთხელ ხვეული,

რომლის მსგავსი სხვა ქალაქებს  
 არ უნახავთ არასდროს,

პარიზში განა შეუძლია  
არნაზულ კატასტროფით



ნანგრევებად დაუცარდეს  
გამარჯვებულს მუხლებთან,  
რომელიც მას სამარცხვინო  
ულლით შეაუღლებდა.

აქ იბრძოდა უმაღლესი  
და დაბალი სწრაფება,  
კერა ცივილიზაციის  
ბნელეთს დაეწაფება.

მხნე სინათლეს და შავ ჩრდილებს  
ისტორიას აყენებს  
და იქიდან დროთ სიცრცეში  
შუქად წამოაყენებს

გენიების ალს და ნათელს  
უან-უაქს, უორესს, ჰიუგოს,  
უორესს, რომელს შეუძლია  
ბნელს პასუხი მიუგოს.

ქუჩებში ყრუ სიჩუმეა  
გაუდაბურებული,  
სენა მიღის ძეელ ქალაქის  
სუნთქვას დაყურებული.

მშვიდ ნიალვრად მიმდინარებს  
მისი წყალი სნეული,  
მის ზედაპირს უდაბნოა,  
გერირით ვერ გარღვეული.

აჩ თამაშობს შაღრევანში  
ცისარტყელა ფერის,  
სიჩუმეში გახვეულა  
ბალი ტიულერის.

მშვიდადა დგას ეს ქალაქი  
თვის საუნჯე-განძებით,  
ვერ იმეტებს ხელი, რათა  
ფარული აღტაცებით

დაანგრიოს შრომა, ლვაწლი,  
შეურაცხყოს მშვენება,  
ბრწყინვალება სახელისა  
და გენის ხსენება.

ბალიუსტრალით და კოშკებით,  
როგორც ძეგლი მუდამი,  
. როგორც მცეელი პარიზისა,  
აღმართულა ნოტრ-დამი.

გამარჯვებათ ხეივანში  
უხმო მედიდურება  
გაყინულა მბრძანებელთა  
და ნამი ეპკურება.

დგას გზად მეფე ლიუდოვიკ  
მეთოთხმეტეს მერანი —  
ცხენიანი ქანდაკება —  
„სახელმწიფო ეს მე ვარ“.

ციხე-კოშკი და ტაძრები  
სამრეკლოთა გოტიკა,

პანთეონის სიდიადე  
და ლუვრის ეგზოტიკა.



კორინთისა და დორისის  
მარმარილო-სვეტები,  
ბაზილიკა გრანიტისა,  
სახლთა სილუეტები,

ოხვრა, შუა საუკუნის  
მისტიური იები,  
ჰარმონიულ ნაგებობათ  
ძველი ბარელიეფი.

და ახალი პარიზის გზა  
მოფენილი სხივებით  
იმ ვარსკელავის მოედნიდან  
მწვანე პერსპექტივებით,

მიმავალი სივრცისაკენ —  
მსგავსად ძველთა ზღაპართა —  
გამარჯვებულ გერმანელებს  
ხელო მორჩილად ჩაბარდა.

და გენია ომებისა,  
ვის სისხლიან ძვალებით  
მიღის ხალხთა ბევრი მოდგმა  
მიღის ულეტა-წვალებით,

ცდილობს იგი, მის სახეზე  
მისწირაფება სწერია —  
და მიიწევს — რომ დაერქვას:  
მსოფლიო იმპერია.



# ବ୍ୟକ୍ତିର ଶାନ୍ତିରେ ମହାତ୍ମା ଗାନ୍ଧୀ

\* \* \*

იქ, სად მზისფერი  
 ეხვევა ცისფერს,  
 შემოდგომისგან  
 ალისფერ-უღალი,  
 იფნის შოლტივით  
 მოქნეულ გზისპირს,  
 ვზავვარედინზე,  
 დგას ნეკერჩხალი.

იქ მდგარი ეტლი  
 და ნეკერჩხალი  
 მთაზე აღმართულს  
 შესცემერენ უძოს,  
 შემოდგომაა,  
 გასცდა მერცხალი  
 სალოცავად მდგარ  
 მხევლებს უძეოს.

ხე აღმოსავლით  
 შესცემერს სამხრეთის

კორდებს, რომელთაც  
სიყვითლე შევენის,  
საღაც ღულუნი  
დგას, როგორც მტრედის,  
ისე ხევის და  
ელექტროდენის.

დუმს ნეკერჩხალი.  
მან ახალ-ახალ  
მოვლენების წინ  
ბევრი იცადა.  
ამ ქვეყანაზე  
მან რა არ ნახა,  
რა გარდატეხა  
არ განიცადა!

თრთის ნეკერჩხალი,  
ქვეყნად არგის არ  
შევენის ცა მისებრ  
ზღაპრული გზნებით,  
ის სისწორის გზა  
აპგავდა ისარს —  
ბეთანიიდან  
სამადლოს გზებით.

\* \* \*

მუხებს ჩოხათ საქილეში  
 ჩაუწყვიათ რეოები,  
 აქ არსენას ნაბდის გაშლას  
 გრძნობენ მიდამოები.

ობობას ქსელს გამოფრენილს  
 გარს იხვევენ ჯაგები,  
 გორაკები, ბანაკები,  
 დაბა-აგარაკები.

შემოდგომამ ყველაფერი  
 შესძრა ხელშეუხები —  
 წრიიალებენ, გრიიალებენ,  
 მქუხარებენ მუხები

\* \* \*

რაც ეს გაჩნდა — ხეივანი  
 ტყის — შერწეტა, ნაზი, ნელი,  
 არამცირე გადის ხანი —  
 თითქმის მთელი ასი წელი.

ათასი წლის ხანათ დღემდე  
 ტყის შრიალებს ბაირალი,  
 დარგეს იფნი და მას შემდეგ  
 ეწოდება იფნის ბალი.

და ნიშიდან უძოს მთების  
 მწვერვალებზე ვისმენ შრიალს,  
 დღემდის სახე თამარ მეფის  
 შერჩენია ბეთანიას.

ქვევით ხევი მოჩხრიალებს,  
 ზევიდან კი ლალზე ლალი  
 არწივების დასტრიალებს  
 ფრთაგაშლილი იალალი.

ହାନି ମ୍ୟାନ୍‌ଗାରି, ସିଂଗର୍ରେଡ ମିଳି  
ଫଲେଗର୍ଦ୍ଦେଲିବିଲ ଏରିଲ ମତ୍ତେମୁଲ୍ଲି  
ଏସ ସାମାଧଲ୍ଲି, ଏସ କୁମିଳି  
ଏବଂ ମାର୍ଗାବଲ୍ଲା କ୍ଷେତ୍ରିକେତ୍ର.

ଏବଂ ମିଲ୍ଲେଲାଙ୍ଗୁ ଉଦ୍‌ଦୀପେ  
ଚିମ୍ବିକାଙ୍କ୍ଷା ଏବଂ ମତ୍ତେନାର୍ଗିକାଙ୍କ୍ଷା  
ସ୍ଥାପନ କାଳାବ୍ଦୀ ନାହିଁବାକୁ  
ଚିଲିକ ପ୍ରାଣପ୍ରେରଣ ମତ୍ତେନାର୍ଗିକା.

\* \* \*

იფნის ბალიდან  
 ნიალვართ მეონი,  
 ჩანს დაბურული  
 ტყეების უბით  
 ქავკასიონი,  
 მზიური მხრების  
 ბრწყინვალე ქუბით.

ხედავ, ჰაერში  
 აკიდებული  
 დგას, და გავიგეთ  
 ჩვენ ერთმანეთი  
 იმ დიდებული  
 მყინვართ ბეღლებით  
 და სავანეთი.

მრავალთა დროთა  
 დაიმსხვრენ  
 ფრთები,  
 საუკუნენი

ქვებში მარხია,  
მხოლოდ ეს მთები  
ვერარა ძალამ  
ვერ შეარხია.



მზით მინათლდება  
შუბლი მწუხარე —  
თავისუფლების  
შუქით მბზინვარე,  
როცა მქუხარე  
გრიალით წყდება  
ადგილს მყინვარი.

იგი ხან ლექსში  
გაინაკვთება,  
ხან სიმღერაში,  
სტიქია, ლვარი,  
არა, არ კვდება, —  
მიმქროლი, თუმცა,  
ერთ ადგილს მდგარი.

\* \* \*

ნისლი მთიდან მოდის დაბლა,  
 ტყე ალერსით მოითაფლა,  
 აღარა ჩანს ჩვენი უძო,  
 ხევი ხმაურობამ ჩაფლა.

რას იგონებს ნეტავ ხევი,  
 მრავალ საუკუნეთ მტევი,  
 აშ რას ფიქრობს ტყიანი მთა,  
 გაწოლილი, როგორც დევი.

ალბათ შემოდგომას ელის  
 ჩაფიქრება მთა და ველის,  
 მწუხარება ნესტანისა  
 და ძახილი ტარიელის!

გადმოშევება წვიმის ზუსტის,  
 გამოკრთომა შუქის სუსტის,  
 ალბათ შემოდგომას ელის,  
 ალბათ შემოდგომას უცდის!

\* \* \*

155

ამ ოდესშე მხიარული  
 გზით უყვარდათ სიარული;  
 აში გზა მიტოვებულია,  
 როგორც ძველი სიყვარული.

მაგრამ ყველაფერი ძველი  
 ამოა და სასურველი:  
 ძველი პური, ძველი ღვინო,  
 ძველი სტუმარ-მასპინძელი.

ძველებური მიყვარს სუფრა  
 და სიმღერა, მაგრამ უფრო  
 მიყვარს ეს ხე, რომ არც ვიცნო  
 და არც გამოვესაუბრო.

შემოდგომავ, მოდი, გელი,  
 მომაწოდე შენი ხელი,  
 მიყვარს ყველაფერი საღა,  
 მიყვარს ყველაფერი ძველი!

\* \* \*

ჩვენი იფნის ტყიდან ისმის  
 ხმაურობა უძოს წევის,  
 გაღმოისმის, გადაისმის  
 ხმა ზეირთების მიმოხვევის.

რაღაც ნაცნობ სიხარულს მგვრის,  
 უძოს წევო, უღერა შენი,  
 შინდისიდან ნიავი ქრის,  
 ტყის ფოთლების ამაზრზენი.

მოსვენებას შესთხოვს ვისმეს?  
 კი, მაგრამ ვის? ჰე, ვის? ჰე, ვის?  
 აივანზე ტყიდან ისმის  
 ხმაურობა უძოს წევის.

• • •

ზემოთიდან წამოსული  
ხმაურობენ, ვით მაყრები,  
მთიდან მთაწე მოგრიალე  
გაზაფხულის ნიაღვრები.

როგორ გვანან ის დღეები  
ჩვენს მშფოთვარე სიყმაწვილეს,  
„მუმლი მუხას“ და „ლილეოს“  
დრო რომ გადაანაწილეს.

\* \* \*

უსპეტაქესი ზეცა  
 ლურჯი ბროლია მინის,  
 შლილია ქეცა-ქეცა  
 გზა სიმღერის და ლხინის.  
 და სიხარულად მაღლა,  
 როგორც ანკარა ფრთები,  
 აღიმართება ახლა  
 კავკასიონის მთები.  
 ჩვენი სალაში კიდევ  
 უდიდებულეს მყინვარს,  
 ასე სიბნელით აღმდგარს,  
 ასე დიადად მბრწყინავს!

\* \* \*

რა კარგია, მყინვარო,  
 ხედვა შენი მზიანი.  
 ცა, მთა, ბარი შენია  
 ასე ალერსიანი.

დიადია, მყინვარო,  
 ცა, ვარსკვლავით ნათესი,  
 შუბლი ისე რომ ბრწყინავს  
 დიდზე უდიადესი.

ბრწყინვალეა, მყინვარო,  
 რომ ცის კიდით კიდეზე  
 სამფლობელო შენია —  
 დიდზე უდიადესი,

\* \* \*

აფხაზეთის წვიმა მიყვარს,  
 იცი რად?  
 მგოსნის ხმა აქვს, როს ფოთლებზე  
 ხმაურობს.  
 უღერს მაისის მწვანე ჩანგი  
 და წეირად  
 მასზე ზვირთი დადის და  
 მოგზაურობს.  
 მიიმღერა, მოიმღერა  
 აქ ხვითომ...  
 აფხაზეთის წვიმა მიყვარს  
 ამიტომ...

წვიმა მოდის, კოკის პირით  
 იღვრება,  
 ხმა შრიალებს დაფნისა და  
 ლიანის,  
 და ორუბლიდან ეშნით  
 გადმოიხრება  
 მოგონება სიყვარულის

పెళాణిస.

మిమిల్రోరా, మిమిల్రోరా  
ఎ బ్రాంటమ,  
అంకాంగేతిస ప్రొమి మిప్పవారిస  
అమిట్రమ...

ఓ, శ్రీశ్రీగ్రేభిస అబాల్గాంగ్రాడా  
మాషింగ్రాం,  
ఇస బ్రాంగ్రాంటిస, ఇస గానిప్రారిస  
టాపిస ఫ్రాంస,

గాథింగిట్రేస రోమెల్లిమ్చె  
గ్రాషింగ్రాం  
డా ఎమ ప్రొమిస క్రోంగ్రాం  
స్టార్ట్యూస!  
మిమిల్రోరా, మిమిల్రోరా  
ఎ బ్రాంటమ,  
అంకాంగేతిస ప్రొమి మిప్పవారిస  
అమిట్రమ...

\* \* \*

ამ შემოდგომის  
გზათა სიავით  
სევში მიმოქრის  
ნელბ ნიავი, —  
ნიავი ფიქრთა  
ათასი ნავით.

მე მინდა მიყცე  
ნუგეში ნიავს:  
ნუ გეშინია!  
ნუ გეშინია!  
ეს მხოლოდ დროის  
მქროლი უინია.

ულტრაიისფერ  
სხივით ლაგდება  
დღე. გაზაფხულიც  
მალე დადგება.  
ბაკურიანიც  
წამოგვალგება!

ნიავმა ამ თქმით  
ბევრი იცინა,  
ტყეში შეიჭრა  
და მიიძინა.

\* \* \*

ო, გაზაფხულო, მე შენ გიჯერი,  
 შენ მერცხალივით შემოიჭერი,  
 შემოიჭერი სულში და გულში,  
 ზამთრის სიავით მთლად დაჩაგრულში,  
 აანთე სრულად ჩამქრალი ალი —  
 იმედს თუ დარჩა რამ ნატამალი...  
 ამინთე რწმენა ხვალინდელ დღისა,  
 რომ არა მქონდა — შუქი მეღირსა.  
 ძლივს ვიდექ ფეხზე, ასე ვნებული,  
 მე, ყველასაგან მიტოვებული.  
 გარშემორტყმული ურიცხვი მტრებით,  
 ეფიქრობდი: რომლით წავიდე გზებით,  
 სნეულს და ოხერს ვინ შემიდარებს,  
 ვინ სანუგეშოს გამიღებს ქარებს,  
 რომ იგრძნოს ტანჯვეა უდასასრულო...  
 გმადლობ, სულ გმადლობ, ო, გაზაფხულო!

\* \* \*

რისთვის მაგონებ, ვაზზე  
 მიმობნეულო ნამო,  
 ცრემლებს, დადენილს მძაფრი  
 ახალგაზრდობის გამო?

მზემ ამოაშრო ნამი  
 და შლის საღამო ამო  
 ცოომებს, ჩადენილთ როსმე  
 ახალგაზრდობის გამო!

მეტყვით: ეს იყო სრული  
 და მშვენიერი რამო,  
 რაც თავს გადაგვხვდა მხოლოდ  
 ახალგაზრდობის გამო.

ის გაზაფხული გაქრა,  
 მეგი, იარე, წამო!  
 აქ ხმაურობდა ტალღა  
 ახალგაზრდობის გამო...

କିରଣ୍ୟେଲ ଅଗ୍ରଦିଶରୁଷ ଲାଖିତ  
ତନ୍ତ୍ରଲି ମନ୍ତ୍ରିଦା ଶୋଭି!  
ପଦେଲା ଘାଗ୍ରେଥି ଅମିତ,  
ତ୍ରୈ ରା ବୀରିଳା ତନ୍ତ୍ରଲିଶି.

ଗାନ୍ଧନା! କେବଳିଲ କୃପା  
ରନ୍ଧନର ସ୍ଵର୍ଗତାର, ଦାନ୍ତେ!  
ଦା ଅନ୍ତିମାରୀତା ଦୂରା,  
ଦରିଲିଲ ରାମ ମିଶ୍ରଗାସ ସାନ୍ତେ.

ଫିରେଥୁଲିବ ଦୂରା!  
ମନିଦାଵି ପନିଦାଵ ତିରାବ.  
ଶୋଦାଲ ଗଲ୍ପାର୍ଥେଥି ତୁମେ,  
ନିଶଳ ରାମ ନିର୍ମାତା ଦିଲାବା!

ଶାନ୍ତିର ଗାହିନ୍ଦା କିନି?  
ନିର୍ମାତାର କ୍ଷେତ୍ରର କ୍ଷେତ୍ରି?  
ଶୁରୁଲ ଘାନ୍ତାନିଲାଲ ମି ଫରୁଲ,  
ରାଜ ତିରାବ ତିବାବୁ ପ୍ରେଲି.

ଅନ୍ତରୁ ତନ୍ତ୍ରଲିଲ ଦର୍ଶିଯିନ୍ଦ୍ରିଲ —  
ଏହି ମେଲିନିଳା ମତିରିଲାପ,  
ପାଶ୍ଚାତ୍ୟାପୁରୀ ଗୁଲି ରଜିନିଲ,  
ଅଭିଜାରୀ ତୁନ୍ଦାପ ନିଲା!

## ఠ శస్త్రం

థిప్పురుగుాలుతాను, సాఫాడు  
జ్యువావిస ట్రూండా,  
ఉగాళుారు ప్రిస్ట్రేర్రి.  
సాలూమినుడ్రెబా  
దూ సియర్లుచ్చో  
మంపిరుసిపిర్రే.

ఎస్టే ట్రూండా  
దూ ప్రా చుసివ్రిప్రో  
స్త్రుల్లస గ్రెస్టోబా,  
ఎస్టే అరొసఫర్రోస  
అనీ డాంగ్రిష్ట్ర్యూ  
గ్రెస శ్యేల్రామ్మెబా.

ఎస్టే సావ్సెచ్చో  
ల్లామిస ట్రోంల్లా  
సిప్రోప్రెస్లోస ట్రీన్సా.  
ఎస్టే ట్రూండామ  
గాంశ్రోందాల్లా  
దూ మిండిన్సా.

ఎస్టే క్రిస్కుంగమాను  
మిమొంట్యిన్స  
గార్లాడి ట్రై ఇం.  
దూ క్రెస్టాచ అశాల్రి  
సిప్రోప్రెస్లోస ట్రీన్సా  
ఉగాళుారు, ట్రూండా.

୩ ୩ ୧

ମିପୁରାଙ୍ଗେ, ଖନ୍ଦାର୍ଥ  
 ଶବ୍ଦାଲଳି ଶଲ୍ଲାଙ୍ଗେ;  
 ଅପୁର୍ବେଦୁଲି  
 ରଫନିବନ ମତାଙ୍ଗେ  
 ଶୁକ୍ଳି. ସନ୍ଦେଶ,  
 ଲାମାଙ୍କି ଶୁଶ୍ରେ,  
 ରଫନିବ ଶବ୍ଦର୍ଥିବିଷ  
 ମନ୍ଦିରେଶୁଲ ଗଞ୍ଜାଙ୍ଗେ.

ରା ମିରିବନିବ  
 ଦାନାଙ୍ଗିବ ଦାଲି.  
 ନରି ଅର୍ପିବି  
 ପୁରାଙ୍ଗେ ଫୁରିତାଲାଲି,  
 ଦ୍ଵୀପରତାଶି ଦାଲି,  
 ସାମିବ ଦାଲି  
 ରଫନିବ ଶବ୍ଦର୍ଥିବିଷ  
 ମନ୍ଦିରେଶୁଲ ଗଞ୍ଜାଙ୍ଗେ.

ଇଶମିବ ଦାନାଙ୍ଗେଦିବ  
 ଶମା କମାପନତ୍ତ୍ଵିଲି.  
 ମାତାଗିବ ଦାର୍ତ୍ତିବିରାଶୁଲ-

გადაყოფილი  
მიქერის ცისფერი  
ავტომობილი  
იფნის შოლტივით  
მოქნეულ გზაზე.



ხელთ გეპურა შოთა,  
შექსპირი, ფედრა,  
სახლის კარებში  
ერთხელ შეხვედ რა,

დაუვიწყარი გვეონდა  
შეხვედრა  
იფნის შოლტივით  
მოქნეულ გზაზე.

\* \* \*

გზები გაუვალი  
 და გზები გავლილი —  
 გულის ტკივილით მაქვა-  
 ყველა შესწავლილი.

აღის მწვერვალზე თუ  
 ჭაობში ეფლობა —  
 ერთი ნიშანი აქვს:  
 დაუსრულებლობა.



# შოთა-ჩალხი

• • \*

ଗମିରିଲୁ ସାନ୍ତେଶ  
ଜୀବିଦାରୀର ତଳିଲୁ  
ଜୀବିଦାରୀର  
ଭିଗନି ଜୀବିତଲିଲୁ —

ଏହା ଧେଉଛା...  
ଅସ୍ତ୍ରତା  
କଥା ସିନାତଳିଲୁ  
ଓ ସିମିରିତଳିଲୁ.

\* \* \*

արօս մշտեցելո  
մշցենոյք թոցնու  
դա արօս մեռլուց  
ցագամշտեցելո...

ու գոյրպլազս, նունացս,  
աջարյեծս, հոհինու,  
մացրամ ցոնա  
այ ցամշտեցելո?

\* \* \*

მოხარული ვიყავ და  
 მოხარული ვიქწები,  
 როცა მესმის, რომ გახსოვთ  
 ჩემი ძველი წიგნები.

თქვენ ჩემს საღამოებზე  
 უგულწრფელეს გაგებით  
 მოდიოდით ყოველთვის  
 თქვენი ამხანაგებით.

სად არიან ისინი?  
 თუმც... რასაკვირველია:  
 მას აქეთ უმძაფრესი  
 ორმოცდარვა წელია.

შეხედე: ხარობს მხარე ბრწყინვალე,  
 წარსული, აწმუო და დიდი ხვალე  
 ამ ახალწლის დღეს.  
 აღმშენებლობა მთათა და მდელოთ  
 პირველ ყოვლისა ჩვენ ვადლეგრძელოთ.  
 გაუმარჯოს მწეს!

იწყება ახალ დღეთა ფაზისი,  
 უფრო კარგი და ულამაზესი,  
 უფრო ფაქიზი.  
 ვის შეუძლია დაასახელოს  
 უფრო დიადი და სასახელო,  
 უსპეტაქესი!

წიგნებში წრფელად არ მღერის განა  
 განახლებული ჩვენი ქვეყანა  
 თვალუწვდენელი!  
 სწრაფია მხარე მშენებლობაში,  
 ვით ჩქარი შედის მდინარე ზღვაში,  
 ისე ეს წელიც.

მშვიდობა სწერება მთასა და ხევებს,  
სიუხვით კოცელიდეთ ახალ მიღწევებს,  
ლელოს გატანას,  
რომ კიდევ მაღლა მიპყავდეს დრო ჩვენს  
დიდი მშვიდობის ყოველ მედროშეს,  
ჩვენს ძეირფას ხანას.

• • •

სუფთა სინდისი, სისპეტაჟი  
 და სიმკვეთრეა,  
 სინდისისათვის ცა ლურჯია,  
 თოვლი თეთრია.  
 უხსენებლობას სურდა ბნელში  
 რომ ჩაეთრია  
 გველა მებრძოლნი, რომელნიც კი  
 ჩვენ შეგვხვედრია!

მშებო მწერლებო! მრავალ ათას  
 კილომეტრიან  
 გზით მშენებელნი ჩვენ სიმღერებს  
 გულწრფელს გვვედრიან,  
 რომ მივაწოდებთ — ეს ასაჩებო  
 და არ გვყვედრიან  
 ას მკითხველები, რომლებიც კი  
 ჩვენ შეგვხვედრია!

გავხედავ ხშირად ჩვენს ცხოვრებას  
 ლიტერატურულს,

ვინ არა წედავს ამ შეცდომებს  
 და გზას გამურულს!  
 გარს ჭაობისას აყენებდნენ  
 ბურუსს და ბურულს,  
 წელის შემშლელნი ისინი სად  
 არ შეგვხვედრია!

წინ, წინ მიიწევს უწმინდესი  
 შემოქმედება,  
 არსებობს ხალხის მხარდაჭერა,  
 თავგამოდება!  
 იგი გვამხნევებს, ის გზას ძელევს  
 დაფნის ტოტებად,  
 ეს მხარდაჭერა აბა მე სად  
 არ შემხვედრია!

ძმებო მწერლებო! მრავალ ათას  
 კილომეტრიან  
 გზით მშენებელნი თუ სიმღერას  
 გულწრფელს გვვედრიან,  
 მივხელოთ სინდისს! ძირს ყოველი  
 უხსენებლობა!  
 გზა სუფთა სინდისს! ძირს სიბნელე,  
 რაც შეგვხვედრია!

\* \* \*

განა ლექსს სიკედილი  
 დასძლევს? პირიქითა  
 ცა, მიწა სავსეა  
 მარადა ლირიკით.  
 ალვის წე, მუხა თუ  
 „ლარიქს სიბირიკა“ —  
 ეს არის ლირიკა,  
 და მხოლოდ ლირიკა.

\* \* \*

ურემს დიღის სიმწრის ალით  
 მიათრევდა გზად ყევარი,  
 მაინც განვლო იმ ჭრიალით  
 საუკუნის ნახევარი.

კაცს საწუთრო ვერ დააბნევს:  
 იძლეოდი დიდ იმედებს,  
 ვიცოდით, რომ ბედი დაფუნებს  
 მხოლოდ შენთვის გაიმეტებს.

ნდობა გვეონდა მეტზე მეტი  
 და გზას გაგიანკარებდით,  
 აწ გამართლდა ის იმედი,  
 ჩვენ რომ შენზე ვამყარებდით.

\* \* \*

გიორგი! ეხლა  
მზრუნველს და მომვლელს  
საქართველოში  
ვინმე გამოლევს?  
მზად იყავ მისცე  
ანგარიში ხალხს  
და არა ყოველ  
გამვლელ-გამომვლელს!

\* \* \*

ეს იყო წინათ,  
 დიდი ხნის წინათ,  
 რაც გახსენება  
 გულმა არ ჰეტოს —  
 მაინც მოეიდა  
 ვიღაც გვიჩვეინით  
 და შენს უბრალოს  
 ამშვენებს კუბოს.

მიდიხარ... ისე  
 მიგაქვს წვალება,  
 თითქო ზღვის კარად  
 თივას თიბავდე,  
 ვინა თქვა შენი  
 გარდაცვალება?  
 არა, სწორედ დღეს  
 შენ დაიძადე.

მიდიხარ... აღარ  
 დაგემდურება  
 არც მიწიერი,  
 არც ზეციერი,

ვინა თქვა შენი  
უბედურება?  
არა, სწორედ დღეს  
ნიჩ ბედნიერი.

მიღიხარ... ტქბილი  
გეონდეს მგზავრობა,  
სხვა ბინა  
მარად იყო ზღაპარი,  
ვინა თქვა შენი  
მიუსაფრობა?  
არა, შენ ჰპოვე  
თაგშესაფარი.

მიღიხარ... შენს ბედს  
ბევრი ინატრებს  
შშვენიერს, ბედი  
სხვა არსად არი,  
შენ სიცრცეებმა  
დაგიძინადრეს —  
შენ უკვდავების  
სარ ბინადარი.

\* \* \*

ილია მღერის — ვაჭმე!  
 ანდა რას ნიშნავს ნეტა:  
 ისე არ გავა ღამე —  
 არ დამენახვოს დედა.

შუბლზე შეხება ხელით  
 და ვგრძნობ, ციფრა ტილო:  
 „შვილო, შუბლი გაქვს ცხელი,  
 რა გემართება, შვილო!“

იმ სამუდამო მხარეს,  
 ალბათ შენ ჩემზე სწუხარ,  
 დარდს ნუ ეძლევი შწარეს,  
 არ წაქცეულა მუხა.

არაფერია! მღვრით  
 დე ირეოდეს მუმლი,  
 მაინც ხომ ცოცხლობს ტყვით  
 ტყედ განგმირული შუბლი.

## ო, ნანა, ნანა, ნანა

გაფიქრებასებრ  
ჩქარი,  
გარეთ გრიალებს  
ქარი.

გარეთ დაფიქრდა  
ქარი,  
აქ კი — ის, შენი  
ნინო.

მიდის ტალღაზე  
ტალღა,  
ცით იერიშზე  
ჯარი,

გახსნილი არის  
ქრება,  
ოპერა, ცირკი.  
კინო.

სელთ აულია  
თეატრს

უზარმაშაბაზ  
 ქნარი,

ეუს ტრომბონის ხმა,  
 ჩანგი,  
 ბუქი და  
 პიანინო.

ხმა ორქესტრის და  
 სცენის  
 გრიგალს მიჰყივის  
 თანა.

შენ კი დამშეიღეთ,  
 სულო,  
 ო, ნანა, ნანა,  
 ნანა...

რეაქტივივით  
 ჩქარი,  
 კვლავ მიგრიალებს  
 ქარი.

შენაც მშეიღობა  
 გინდა,  
 ჩემო პატარა  
 ლაშა.

კიდლით გიმდერის  
 ექვსი  
 მჯოსნის ძვირფასი  
 ქნარი:

ରୁପିତାଙ୍ଗେଲୁଙ୍କ,  
 ଘୁରୁମିଶ୍ଵେଳୁଙ୍କ,  
 ଦାରାତାଶ୍ଵେଳୁଙ୍କ ଏବଂ  
 ଗାୟାଙ୍କ,

ଶ୍ରେଷ୍ଠତ୍ତେଲୁଙ୍କ,  
 ପ୍ରାଚୀନାମ୍ବେଶ  
 ସ୍ତୁରତ ଦାଗିଶ୍ଵିନୀନ  
 ମିଶାରି, —

ମାତ ମାରିଦିଲୁଙ୍କ  
 କ୍ଷେତ୍ରଜ୍ଞା,  
 ମାତ ଦିଲ୍ଲେଖା ଏବଂ  
 ଗାନ୍ଧା!

ଏବଂ କିଲ୍ଲେପ ଦ୍ୱାଦା-  
 ଶେନିଲ୍  
 ନାନା ଏଣ ଗିପାପୁ  
 ଗାନ୍ଧା?

ଓ, ନାନା, ନାନା,  
 ନାନା!  
 ଓ, ନାନା, ନାନା,  
 ନାନା!

\* \* \*

მე ეუსმენდი ზალხს მომლერალს.  
 ვითარდება, რაც იწყება,  
 იმ ხმის ამ ცხოვრების გზაზე  
 არ მომხდარა დავიწყება.

ის ხმა შეიცავდა სივრცის  
 უსრულობას და დიდებას,  
 რაც ქვეყანაზე ვერსალ -  
 ვერ იპოვის დამშვიდებას.

არის უბადლოთა რაშეთ  
 სულ უბრალოდ ათვისება,  
 მაგრამ გაერთიანების  
 სხვაა სული და თვისება.

ხდება ერთად შეთავსება  
 უცხოდ გრძნობამორეულის,  
 რაღაც საერთო და დიდი  
 ხმის, ახლობელ-მორეულის.

აახლოებს რაღაც საგნებს,  
 მშრალს და კერძოს, სხვადასხვავერს,

ერთის ხედვით საგნებს, რომელთ  
 ვერ უპოვის ვერვინ საზღარს.

ხალხი მღერის, მღერის ხალხი,  
 და ცა უსმენს არა ლოცვით,  
 არამედ სხვა, გამოუთქმელ  
 ალტაცების გარემოცვით.

ხმა მიღის გზით, სიცოცხლის გზით,  
 ვითარდება, რაც იწყება —  
 იმ ხმის მთელ ცხოვრების გზაზე  
 არ მოხდება დავიწყება.



# მშვიდობის წიგნი

ადგილები ლეგენდა—პოემიდან

მოწმე იმ ყრმობის,  
 კვლავ შუა უამთა,  
 სხვა მთათა შორის  
 შვენის შუამთა.  
 მრავალთა წამთა  
 სჯეროდათ, სწამდათ  
 ქველი შუამთა,  
 კარგი შუამთა!

დევს პეგაედა ნამდვილს  
 მუხა იმ გზაში...  
 ერთხელ იმ აღგილს —  
 იმ შუამთაში,  
 სად ჩანდა ჩრდილი,  
 გზად შედგა წყვილი  
 იმერი ზრდილი:  
 ქალი და ვაერი.

კითარიცა სევდა  
 რამ იდუმალი,  
 რალაც იღვზნებდა  
 ორთავეს ალი.

მომსკდარ ღვარებად  
 ცრემლო მდუღარებით  
 ვაჟს მწუხარებით  
 ეტყოდა ქალი:

— ტარიელ, ბნელა,  
 ეზო ჰგავს ქუჩას,  
 შემოდის ყველა,  
 ვისაც გზად უჩანს...

რა გითხრა ერთგულს?  
 წიგნი წაიღეს,  
 შენ გარდა, ჩემს გულს  
 ვერვინ გაიგებს.  
 არ იცის ყველამ,  
 რა დარღი მწველად  
 მწვავს. გულში ბნელა,  
 დარღი წამიღებს.

მაგრამ რა ვუყოთ,  
 რომ დაღამდება,  
 ღრო უპასუხოდ  
 არ დაამდება,  
 ასეთ უამი,  
 მისღევს წამს წამი —  
 ლამის წამწამი  
 ახამხამდება.

მოედოს აგრეც  
 გზას ურუანტელი,  
 მაინც ვერ ჩაქრეს  
 ჩვენი სანთელი.

იტყვი: არს რაცა,  
 არის სიზმარი...  
 მეტყვი? მითხარი!

დუმილით ვით ხარ...  
 მოდის, ენთება,  
 ტარიელ, მითხარ,  
 რომ გათენდება...

- თამარ, ამიერ  
 გზათ მონა ვიქნე...
- მაშ ელი სულიერ  
 ვენახთა წინდვით!..
- თამარ, ჯერ უვლელს...  
 მოვივლი ტყე-ველს...
- წიგნი, ტარიელ,  
 ტარიელ, წიგნი!


\* \* \*

იმავ დღეს ძველი  
ფაზისის პირად  
მხელი სოფელი  
შეკრბა თათბირად.  
იქ, სადაც ჭადრის  
სივრცე-სიბადრის  
ყოფნას ინატრის  
გული ხშირ-ხშირად,

ოელვათა მჩენი  
შეკრბა სოფელი.  
ამბობდნენ: — ჩვენი  
შემამკობელი,  
ჩვენი წყვდიადის  
და განთიადის  
წიგნი, მარადის  
მანათობელი,

ჩვენი ძვირფასზე  
ძვირფასი წიგნით  
ევიდოდით ასე  
გარეთ და შიგნით,

ნათელით მისით,  
წრეტელით, ფაქტიზით  
ჩვენც მარადისა  
გზები გავიგნეთ.



წიგნების მზოგვარს,  
ჩვენ, ძველის-ძველი  
გვიყვარდა, როგორც  
სიმართლის მცველი.  
აწ მოხდა ავი  
რამე ამბავი,  
დაძრულა ზვავი  
შავი და ბნელი.

დამცველებს ვგვანდით  
ძველ ასოებით,  
წიგნს ვინახავდით  
ჩვენ სასოებით.  
დავკარგეთ ასე,  
დაგვადგა თავზე  
ეამი, აღსავსე  
ამაოებით.

მიწაც და ცაცა  
მოწმობს: ეერ ვიგნებთ,  
ვინ, ვინ მოგვტაცა  
ძვირფასი წიგნი?  
აწ ქმნილნი გრძნობად,  
რაიმე ცნობად,  
გამოსაცნობად  
დავმდგარვართ ჩიგნი.

მოვნახოთ ხალხშა  
 ქვალი იმ კაცის,  
 წიგნი ფაზს გაღმა  
 რომ გაიტაცეს,  
 აშ ის, ვით ნესტან,  
 მყოფი საფრთხესთან,  
 მოელის ვეფხვს, ან  
 მოელის არწივს!

მაშინ წარმოდგა  
 ყრმა ტარიელი,  
 სიტყვა წარმოთქვა  
 ერთობ ძლიერი:

— წიგნი — მხეობა —  
 თუ გაიტაცეს,  
 მოვალეობა  
 ჩვენ დიდი გვაწევს:  
 რომ არ განიბნეს  
 ქვალი იმ წიგნის —  
 მოითხოვს სიბრძნეს  
 და სითამამეს.

რომ დავიბრუნოთ  
 ის განძი ძველი,  
 უნდა ვიზრუნოთ,  
 მოვვლოთ მთა-ველი.  
 ეს ითხოვს ძმობას,  
 წავალ, ვსცნობ ცნობას,  
 მხოლოდ თანხმობას  
 მე თქვენსას ველი.

თუ დამავალებთ,  
 როგორც დიდ მცნებას,  
 ვით ავალებენ  
 კაცს თავდადებას,—  
 გულს გულად ვაულებ,  
 სიტყვას ვასრულებ,  
 მე შევასრულებ  
 თქვენს დავალებას!

ხალხმაც ერთპირი  
 სიტყვა ძლიერი  
 იგრგვინა: გმირი  
 ხარ ტარიელი,  
 არ მოღუნდები,  
 ხანს მოუნდები,  
 არ დაბრუნდები  
 ხელცარიელი!

ეს იყო და ეს...  
 სპეტაქი, ჭრფელი  
 გაუდგა შორ გზებს  
 ყრმა ტარიელი.  
 რა მოხდა მასში,  
 ვინ შეხვდა გზაში —  
 მოძმე ვაჟი თუ  
 გადამთიელი?

ნავის უფროსად  
 არის მამია,  
 დილაა თუ ცალ  
 მწუხარის ჟამია,  
 დამშეიღებაა  
 თუ აზეირთება —  
 არ ერიღება,  
 ის თამამია.

ნამდეილი რვალი  
 იყო ეს ნავი,  
 რაგინდ გრიგალი  
 შებმოდა ავი —  
 ვერ იყო ვერრით,  
 ვერაგვარ ფერით  
 მისი ნამქერით  
 გამომრიყავი.

ნებირად უნახავთ:  
 როცა ზღვა ანცობს,  
 მიაგორებს ნავს,  
 როგორც პირსაცობს, —

არსად ერთხელაც  
არ ითხოვს შველას,  
აქვირვებს ყველას —  
უცნობს და ნაცნობს.



მხედ და იალქან-  
დაულალავი  
შუაზღვისაკენ  
მიცურავს ნავი.  
წინ, წინ, მამია!  
გარს სალაშია,  
კარგი რამეა  
ჩვენი ზღვა შავი!

მოციმციშეა  
ქალების მძივი,  
ტალღაც მძიმეა  
და ქარიც ცივი.  
არ იცვლის ზღვა ფერს,  
ტალღებს ანაძგერს  
მამია დასცერს,  
როგორც არწივი.

ბევრჯერ მხედავი  
ამნაირ ვადის,  
მამიას ნავი  
სათევზედ გადის,  
იგი სცნობს ამ დროს  
ამოს თუ სამტროს  
სიცრცეს უსაზღვროს,  
სიცრცეს მარადისს.

ის ხედავს ნისლთა  
 დარის დარებას,—  
 ასცდეს ქარის და  
 ზღვის მდინარებას.  
 ჰგავს ქაფის მოსხმა  
 და ნიჩბის მოსმა  
 წაყითხულთ როსმე  
 წიგნთ მცინარებას.

როს ცა არ ღრუბლობს,  
 თქმა არ ძნელია,  
 და საიდუმლოც  
 გასამხელია?  
 ვსცნობთ, რაც ეამია,  
 იმ ადამიანს...  
 რისი მაშია...  
 ტარიელია!

\* \*

არ ბობოქრობს ზღვა,  
 წყნარია ზეცა.  
 ნავთსაღგურის წყალს  
 ლანდად დაეცა —  
 ხომალდთა ხაზი, —  
 ეით წიგნთა რაზმის  
 თითქო ლამაზი  
 ყდა გადიკეცა.

უზარმაზართა  
 ხომალდთა წყება!  
 აპა, დროშათა  
 შრიალი ცხრება.

ნავს ნავი ტოვებს  
 იალქნიანი,  
 მას აოქროებს  
 შუქი მზიანი.

ლაჟვარდით მოსილ  
 მამიას ნაეში  
 ჯდება უფროსი,  
 მოსილი შავში.

ეან არის იგი?  
 კაცი თუ წიგნი?  
 კაცია. რიგით  
 ზის წყნარად თავში.



ზღვის გულზევიადი  
 ნავი ლანდებად  
 მიცურავს ბაღის  
 გადასაგდებად.  
 შორს კი ტყეები,  
 სალი კლდეები  
 და კილეები  
 ჩანან ნაკვთებად.

მაგრამ მოვარდა  
 ქარი სულ მალე,  
 ქარიშხლად გახდა  
 ხმამოვარიალე.  
 ზღვად მოარეა,  
 უნდობარია,  
 არივ-დარია  
 დარის სიალე.

ქარიშხლის ფრთებზე  
 ნავი მეთევზე  
 დადის ტალღებზე  
 კით მთიდან მთებზე.

ნაპირისაკენ  
 გზა აღარ არის,  
 ისევ ზღვისაკენ  
 ტალღათა ღვარი

ნავს მიაქანებს,  
 ბლავის, ქაქანებს,  
 უგანდაგანებს,  
 უნდობი არის!

ნაპირთა კლდეებს  
 მოეხეთქება,  
 სცდება კიდეებს  
 და არ შეღვება,  
 კვლავ მობრუნდება,  
 აგუგუნდება  
 და უცებ სკდება,  
 ვით აფეთქება!

სახეში რიხად  
 სცემდა ზღვის შხეფი,  
 მაგრამ ვინ იყო  
 ხელდანაკრეფი?

ვის იპყრობს ამ დროს  
 ზღვის ლელვა, შლამი?  
 ეს იყო სამქვდრო  
 ბრძოლა მისღამი;  
 ვინაა ამ დროს  
 ალალბედს ანდოს  
 და არ ვაფანტოს  
 ლელვის ის შხამი?

არასღროს ზეავით  
 სომ არ ყოფილა,  
 ყოფილიყავი  
 უქმაყოფილო?

აბა მეტი რა?  
 თვით სიცოცხლის ზღვა  
 ღველვა არის, სხვა  
 რაა, ძმობილო?

დასაბამილან  
 ცვალებად ბედის  
 გულს შვებას ჰგვრიდა  
 შუქი იმედის...

ბოლოს იოტად,  
 მკაცრი და მწყრალი,  
 დამშვეიდლა ცოტა  
 ის ქარიშხალი.

ნავი ჯერ იმ დროს  
 ისევ ზღვაშია,  
 თუმცა ზღვა თითქოს  
 განცხრომაშია.  
 გულით ორგულით  
 არის მორთხმული  
 გარსშემორტყმული  
 ერცელი არშია.

მამიამ ტაშით  
 თვით კაცთ მანამდე  
 მიმართა — ზღვაში  
 გადეგდოთ ბადე...

გადეშეეს. ზღვა ჯერ  
 ეთამაშება,  
 საქმეა სამჯერ  
 თოკის ჩაშება.

განაგდეს ჭოკი,  
 გადუშვეს თოკი,  
 მოძრაობს ზოგი,  
 ზოგი რას შეჩება...

ცხარედ ტრიალებს  
 მორგვი მხვეველი,  
 ფსკერს მისრიალებს  
 ის სათრეველი.

ამ დროს დაარტყა  
 ტალღამ გვერდთ არეს,  
 ქვლავ გადაირჩა  
 ნავი ცალ მხარეს,  
 მაგრამ მოასწრეს, —  
 ის ბადე დასძრეს,  
 თევზი გადასცრეს,  
 ნავი დაფარეს.

შუბლს ოფლი აჩნდათ,  
 როგორც წერაში,  
 მათ გაუმარჯვდათ  
 იევზის ჭერაში.  
 „გვიწოდებენ კაცთ“,  
 ბრუნდებიან აშ  
 ჩონგურთ ქლერაში  
 და სიმღერაში.

\* \* \*

მამია იყო,  
 რომ ნავში ხოფებს  
 უსვამდა, თითქო  
 ვნება აცოფებს.

სიმძლავრით, ცნობით  
 მეზღვაურივით  
 და ნებისყოფით,  
 გზაურევით  
 ის კარგად გრძნობდა:  
 ზღვა არ ხუმრობდა,  
 ზღვა ხმაურობდა  
 ყრუ ხმაურობით.

ეტყოდნენ: — მგონი,  
 მამია, შენა  
 შაგნაირ ღონით  
 გითარავს ზენა.  
 ვეფხეთა ქვეყნიერს,  
 მართლაცდა ძლიერს  
 პგავხარ ტარიელს,  
 მოგეცა ლხენა...

శ్వారూప్యా  
డా సాంకోధాతా  
గ్రథేభిస్తువిస్ గ్రేషి  
శ్వేఘఫ్లేరిస్ తూర్పాతా,  
ఎర్రాబ్రేతిస్ ప్రా,  
ఎన్డ్రామ్రేతిస్ గ్రేషి,  
శాశ్వతామ్రేతిస్, డా  
స్క్రేవాత, సాంగార్ణందా.

శ్వేఘఫ్లేరిస్ బ్రథాల్సి  
ఫ్రెండాఫ్లేరిస్తాల్సి,  
ఎమ్రేబ్రేషి గాస్క్రెల్సిల  
శార్ గాస్క్రెన్సిల్సి.

ప్రాంతికాలిస్తువిస్, ప్రింక్రెత  
గార్జేమ్మిప్రువిస్తువిస్  
శ్వారూప్యా, గాప్రెర్రె  
ట్రేప్సితా బ్రొప్రువిస్తువిస్...  
సాండాన్ సాండా  
గాండ్రెప్ప్రె ఠ్లువాల్డా,  
గ్రేస్ మిష్టా డా  
ప్రాంతికాల్స్ మిస్తువిస్!

• •

სიქუფრე ადგას  
 ტალღათ ზედაპირს,  
 ნავი მოადგა  
 კოლხიდის ნაპირს...

პატარა მერცხლის  
 ტალღები სცემენ,  
 არშიას ვერცხლის  
 გარე ავლებენ.  
 ქცეული კრძალვად  
 შიშობენ, ალბათ,  
 დასამალავად  
 სვლას ამალებენ.

მიღამო-არედ  
 ოდნავი ბური...  
 იყო მღუმარე  
 ყრუ ნავსადგური,  
 სად სრესდა იმედს,  
 ჰაერი მძიმე,  
 და რამდენიმე  
 წნდა მებაღური.

თევზები იქ მთად  
 ეყარა გვერდით,  
 სუნთქვა უმძიმდათ  
 ტანით და მკერდით,  
 გვინახავს ხანით  
 ბევრი სვიანი  
 ადამიანი  
 ასეთი სვედრით.

პეტეტდა უძილოს  
 სულხდომას თვალი  
 და სასიკვდილო  
 პქონდათ ფართხალი.  
 რას იტყვის თევზი?  
 ვერ წავა ზღვებზე,  
 მისი ვის ესმის  
 სიტყვა მართალი?

შეთევზეთ გულმა —  
 სხვა ჭაობიდან  
 მობრუნებულმა —  
 თევზაობიდან

მსწრაფლ შეამჩნია  
 გამიას ნავი:  
 — ჩვენი მამია, —  
 თქვეს და, ვით ზვავი,  
 დაეშვნენ ხელად  
 ისე, ვით ძველად.  
 სწრაფად და წრდელად  
 გულით და მკლავით.

ჟაეშეა ჟველა  
 ნაპირზე ხელათ,  
 რომ ამოთრევა  
 ნავის ეშველათ.

მიმყოლი ძალთა  
 ნავი ქვიშაზე  
 გამოსრიალდა,  
 როგორც ნიშანზე.

იგი, ქებული,  
 ტსკერწაყოფილი,  
 გამარჯვებული  
 და კმაყოფილი  
 მზად არის კიდევ  
 გადასცდეს კიდეს  
 და ესე ვლიდეს  
 ნავად შობილი.

მზად არის გმირი  
 მიმწედომი ბინის  
 მთლად სანაპირო  
 გადაირბინოს.  
 იგი მზად არის  
 შიეცოს არეს,  
 შემდეგ თეით ჰაერს  
 შესწოდეს, იფრინოს.

შეხვდნენ ერთმანეთს  
 ძალიან კარგად:  
 — დრო უქმად მაინც  
 არ დაგვიკარგავს...

სჩვევია ამ გზებს  
ქაცი ძლიერება.  
დაუწყეს თევზებს  
თვალიერება.  
ქაცს მსგავსსა ლომის  
ანათებს შრომის  
და ზღვასთან ომის  
მშვენიერება!

\* \* \*

ପୁରୁଷ ମନଦାତାଙ୍କେ  
 ଲେଖାବ୍ୟକ୍ତି ପୁରୁଷି  
 ଶଳ୍ପା ଲୁହରୁଜି, ହୁଏ  
 ଉତ୍ସାହିତ୍ୟରୁଧ ଲୁହରୁଜି.  
 ପ୍ରଦ୍ୱାରୀ ମନୋଦିଗାନ  
 ମନରିତ-ମନରିତଗାନ  
 ଐଁ, ସାଫାପ ପଦଗା  
 ସାକ୍ଷଣ-ସାମ୍ନଜ୍ଞୀ.

ମତା ମନୋତ୍ୱେଲି ସନ୍ତୋ  
 ମନୋଦ ଶେଷତା-ଶେଷି  
 ହୃଦୟ ଶାୟି ଶଳ୍ପା  
 ପ୍ରଦ୍ୱାରୀଶେଶି  
 ଶେରିଦିଲ ଐଁ, ପାଦିଲ, —  
 ମତ୍ୱେଲେଲିବ ପାଦିତା  
 ପ୍ରଦ୍ୱାରୀ ପିନାମତା,  
 ପ୍ରଦ୍ୱାରୀ ପ୍ରାଣିଦିଶି.

ଏବଂ, ମିମାମ୍ବାଲି  
 ମତାତ ତ୍ୱର ମଦ୍ୱେଲିନୀଶ୍ଵର —  
 ସାମ୍ରାଜ୍ୟପଦ୍ଧତିକ୍ଷେତ୍ରରେ,  
 ତ୍ୱରିତ କାଳିକିରିଦାନୀଶ୍ଵର —

მიმაღლულ ვით ხარ,  
 ის წიგნი მითხარ,  
 ო, ვინა, ვინ ხარ,  
 რომ მოიტაცე!

ასე მდიდარით  
 და უდაბურით  
 ზღვას თავის ჩქარი  
 გარე-საბურით

უდიდესისკენ  
 მცჰყავდა სული,  
 მცირედისაგან  
 ასე წასული.  
 ო, ის მცირედი  
 არ-სიმწირეთი  
 ამ ზღვისპირეთით  
 გადახაზული!

ზღვა რამდენ მცნებას,  
 კაცთ ითავსებდა.  
 იგი ოცნებას  
 მათსას ავსებდა.

და დინებითა  
 ცეცხლში ნაწებით  
 ალტყინებითა  
 და ალტაცებით  
 ტალღებმა იგრძნეს,  
 რაოდენ სიბრძნეს  
 მოჰფენდა სივრცეს  
 გულთ გადაცემით.

განახლებულს ზღვა  
სულს მასში ქმნიდა  
და იყო წმინდა  
საოცრად წმინდა,

ისევე, ვითა  
ძვირფასი თვალი,  
ის, მარგალიტთა  
ნთება მაღალი. —  
გვანთებს უღერითა  
მშვენიერითა  
წიგნი ძველი და  
წიგნი ახალი.

აყვავებულზე, —  
გულით მკეროდა, —  
ჩემს სამშობლოზე  
ქარი მღეროდა  
და თვით მორიგი  
ხდებოდა წიგნი,  
როდესაც იგი  
წიგნს დასცეროდა.

\* \* \*

გადაცმულ არის  
 აწ სხვისი კაბით,  
 რომ იჭვის არვის  
 მისცეს საბაზი —  
 ლუარსაბ ჰქვია,  
 ნამდვილად კია  
 ტარიელია,  
 რის ლუარსაბი!

ეხლა სხვა რამე...  
 ან სულ სხვა სოფულად  
 ზის ლუარსაბი  
 არც ისე ობლად,  
 თითქოს ლუარსაბს  
 ღომის გარდა სხვა  
 არ სჯერა, არ სწამს  
 რამ წუთისოფულად.

რაღაც ქუპრიანის  
 უმაღლოს, ყისმათს  
 დღეს შეუძყრია,  
 როგორც თილისმას.

გრძნობს სითბოს, პაერს,  
 ვით რამე დაირს,  
 თან ასეთნაირს  
 ხედავს, ვით სიზმარს:

მსახური დარჩაზს  
 გარე მოუკელის  
 და წყალს, ხელსაბანს  
 აწვდის თვითეულს.  
 გაურბის სიცხეს,  
 უფროსით იწყებს,  
 არ დაივიწყებს  
 არც სხვას, მოწვეულს.

კვლავ მეორე მას  
 მოსამსახურე  
 სდევს ყოველ წერილმანს  
 სწრაფად გამყურე.

მოჰყვება ამათ  
 უკან ხაბაზი,  
 მან პურის ჭამათ  
 იცისო ფასი.  
 ბას თავის ჩანთით  
 თან მოაქვს ათი  
 თუ ოცდაათი  
 პური, მაშ ასე ...

იწყება დიღი  
 რამ წვეულება,  
 ხონჩებით მოაქვთ  
 ხორცეულება.

შემწვარი ღორი  
ერთი და ორი,  
აი როგორი  
განძეულება!



მოაქვთ მწვანილი,  
ფხალი ან რამე,  
აქ მოტანილი  
რომ რომელსამე  
ატანენ ნიგოზს...  
ჩამოირიგოს —  
პირველი იყოს,  
გინდა შესამე.

ყოველივე სხვა  
მოაქვთ წონჩებით,  
რომ დაიწყოთ თელა,  
აქ ჩამორჩებით.  
ფრინველს და ნადირს  
ვადის შესადარს  
შეხედავთ სადაც,  
რიცხვს ვერ მორჩებით.

ყოველივე ეს  
ყველას ეყოფა,  
მიჰყვება დღეებს  
ასეთი ყოფა,  
და შამფურები,  
როგორც შუბები,  
ნუ ეხუმრები,  
ჯარად ეწყობა.

აგერ თავში ზის  
 თვით მასპინძელი,  
 არ ცხრება იმის  
 თვალები მჭრელი.

— ლუარსაბ, რჩები, —  
 ეტყოდნენ თდეს,  
 თდნავ ტუჩები  
 მიაკართდის...

სულ ცოტა მოსვის  
 და მერე ხელად  
 იმ აღგილს მოსწმენდს  
 თასისას ხელით...

აქ სხვაა ზეცა,  
 აქ სხვა ქარი ქრის.  
 ისევ მიეცა  
 ტარიელი ფიქრს:  
 „აქ ვხედავ ბეცებს,  
 თვალს რას იცეცებ?  
 აქ წიგნს დაეძებ?  
 აქ რა უნდა წიგნს?“

გარეთ ქრის ქარი,  
 წყრომით დაბურვილს  
 არ აქვს საზღვარი,  
 კაცთა მათ წყურვილს  
 ასე მრავალთა  
 გრიგალთა და წყალთა,  
 ბუნების ძალთა  
 დაძლევის სურეილა!

ბჳობს მასპინძელი:  
 — სტუმრებო, იცით,  
 რას გეტყეით? ძველი  
 გარწმუნებთ ფიცით, —  
 არც ისე ახლოს,  
 ზღვას იქით, მაღლობს,  
 ერთს სამოსახლოს  
 ვიცნობდი მტკიცეს...

მას უწოდებდნენ  
 ყველანი ქაჯეთს,  
 სადაც ცოდვები  
 დააქვთ სიაჯეთ.

გასსოვთ თუ არა:  
 ნაქურდალ წიგნით  
 გამოიარა  
 ჩვენი ბილიკით —  
 ერთმა მათგანმა,  
 როს რწმენის ჯანმა  
 უგანდაგანა —  
 გაპქრა... ზღვას იქით.

რა წიგნი იყო,  
 მე ვიტყვი ვერას,  
 შაგრამ ურიგო  
 არ იყო, მჯერა,  
 ზღვისკენ განიბნენ  
 გზანი ირიბნი...  
 „მშვიდობის წიგნი“  
 იმ წიგნს ეწერა...

\* \* \*

მალე ნელობილი  
 ვრცელი ზღვიდანა  
 ნიავი გრილი  
 ამოიდენა...  
 სიაშით ლალით  
 აავსო ბალი,  
 ნაპირთ წიალი  
 და ველთა ყანა.

ზეთისხილთ წყნარი  
 ჰყვაოდა მტილი,  
 საღ ლოცვით მკრთალი  
 და ფერმიხილილი  
 ეიდოდა ბერი.  
 იდგა ჰაერი  
 სულ სხვანაირი  
 შუქით და ჩრდილით.

შებლს ოფლი შრომის  
 გადადაგავდა,  
 შებლი მეომრის  
 შებლს მიაგავდა.

გზათ გადასვლითა  
 ბუჩქეთ გადასცვლიდა,  
 ერთს გადასხვლიდა,  
 სხვას გადარგავდა.

იგი რგვას მორჩა  
 ბუჩქისას, მაგრამ  
 იგი შებოჭა  
 მწუხრის კამარამ.  
 ფიქრნი სხვად რბოლნენ,  
 ფიქრნი დათრთოდნენ,  
 რა ჰყოს მარტოდენ  
 ფიქრთა ამარამ?!

საღაც ბექობით  
 დგას მონასტერი,  
 ზღვისკენ მშვიდ გრძნობით  
 ვიღოდა ბერი.

რა დარი იდგა!  
 ფუნჯით დახატვის  
 ლირს იყო თითქო  
 სივრცე მკათათვის.  
 პხატე ნათებით  
 კარგი ხატები  
 და სურათები  
 ძვირფას წიგნთათვის.

მშვიდი და წყნარი  
 წელგამართული  
 ღრმა ფიქრში არი  
 ბერი გართული,

რა ცაა, რა ცა!  
 შექი განავრცო  
 წიგნმა, ვითარცა  
 ასომთავრული.

მოგონებათა  
 არბევდა ჩქერი,  
 ვლიდა ნელად და  
 მშვიდად ეს ბერი.

ნიავი, ოდნავ  
 მომწყდარი გორას,  
 გარს ეხვეოდა  
 მის ანაფორას.

კოველი მხრიდან  
 იდგა ხალისი.  
 ძველი კოლხიდა —  
 სამშობლო მისი  
 ხედებოდა მომსკლელთ.  
 ვერა, ვერ მოსხლეს  
 წიგნი — სიცოცხლე  
 წიგნი — სინდისი.

კვლავ, როცა ღრუბლობს,  
 თქმა არ ძნელია  
 და საიდუმლოც  
 არ სათქმელია...  
 ბერი — სხვა ფერი,  
 და ლეთისნიერი,  
 რომელი ბერი...  
 ტარიელია!

\* \* \*

აღ სენაკი  
 მონასტრის ჩვენის,  
 აღმაფრენა კი  
 მთას ვით არ შვენის!  
 გული დასწვია,  
 სტავრა აცვია,  
 თარო საწყვია  
 წიგნების ფენის.

რომელს არა გზა, —  
 ჰქვია — გზა წმინდა,  
 სენაკი მე სხვა  
 არ მაქვს, არც მინდა.  
 აქ სული ფრენდა  
 და ნათელს პფენდა —  
 წიგნით გათენდა,  
 წიგნით შებინდდა.

არრა სამოთხედ  
 კოლხიდის გარდა,  
 სალაც ჩემთა დღეთ  
 აეშვა ფარდა,

მიყვარს აქ წესი  
 და, ჰა, მიზეზი:  
 უსაყვარლესი  
 წიგნის ქარიდა.

სენაკი მთიდან  
 ლმობას ჰბადებდა,  
 შუქი სარკმლიდან  
 მოანათებდა.  
 ცინ იცის, საღმე  
 აქ მყოფი რამდენ  
 გათენებამდე  
 წიგნს არ დასდებდა.

სანთელს ჰმონებდა,  
 მის შუქზე წერდა,  
 შთააგონებდა  
 რასაც კი სევდა.  
 სევდა, ხალისი,  
 რწმენა, სინდისი,  
 სიცოცხლე მისი  
 წიგნია ერთი.

გულმოლგინედ სხვა  
 წიგნს გადასწერდა...  
 რამდენი სიტყვა,  
 რამდენი გვერდი,  
 რა გულის ძგერით,  
 იმ სიტყვათ ბგერით  
 ხელით ნაწერი  
 და ყდახავერდი

მასაც ქვლავ წელით  
 გადაუშერია...  
 ო, როგორ შველი  
 წიგნს, ივერია!  
 დიდია ძლვენი  
 სინათლის მფენი,  
 რაც ქვეყნად შენი  
 ხელნაშერია.

იქ დაშვრენ შენდა  
 წმინდა მამანი.  
 ბჟესთან, სად ფშვენდა  
 იასამანი.  
 მტეხელმა ლამის  
 დაძლიოს ლამის  
 ვინმე მოწამის  
 დიდი საგანი.

ლამით რიგ-რიგად  
 ძლივს მბეუტავ სანთელს  
 ანდობლნენ გრიგალს  
 და ქორიანტელს.  
 მოხდიდნენ ძაძას  
 უძველეს ტაძარს,  
 მას, უზარმაზარს  
 რომ ჰვავდა ქანდელს.

ამაოდ წვალის  
 ამაოება  
 ებრძოდა ხალისს,  
 სდევდა დროება: —

ჩნდა წიგნის ყდაზე —  
გარად თუ მთაზე  
განველილი ასე  
საწუთროება.

მარადის გზნებით  
სანთლად დნებოდა,  
და ამ წიგნებით  
იფინებოდა

გზე — ივერია, —  
ჯმირების ხველრი  
ბედნიერებას  
მისას ვის ველრის?  
იგი, ვინც იცის  
ამ ძვირფას მიწის  
ძალა-სიმტკიცე  
და ხმალი მკვეთრი.

მიეც მას ბოლოს  
გონი და ძალა,  
რომ აიშოროს  
გძიმე ფიალა  
შხამებით სავსე,  
რაიცა ასე  
ბედმა მის თავზე  
დაატრიალა.

და ანათებდნენ  
სილრმეს გულისას

და ალს აგზნებდნენ  
სიყვარულისას —  
მშვიდობის მდომის  
ყოველი ტომის,  
მნატვრელის ომის  
დასასრულისა.

\* \* \*

ეს იყო სახლი,  
 მშვიდი სოფელი,  
 ყოველ სიახლის  
 ახლოს მყოფელი.  
 მხოლოდ იმედის  
 სვლით ზედიზედით,  
 თავისი ბედით  
 აჩქმიყოფილი.

რა მოსიმღერე  
 არის გენია,  
 ჭალა იმერეთს  
 რომ მოჰყენია.  
 ო ყვავილებო,  
 უნდა იმეტოთ,  
 თქვენი ტბა ქვემოთ  
 რაოდენია.

ველი თვალცინცალს  
 ქმნიან ნაკადებს,  
 რაც ყოფნას იწყებს,  
 პყვავის, ღალადებს.

გაფანტაცს დარდებს.  
იმ ია-ვარდებს,  
იმ სილაქვარდის  
ტვირთად დავადებს.



პხედება ფაზისი  
ჯილოებს, ნავებს,  
სედაცს ნაპირზე  
ქალწულთ ნაშნავებს.  
იმერი ქალი!  
რა დაუმცხრალი  
ცდება ალი  
შედეას კავებს...

ესმის, ვით ძველად  
მღერა კოლხიდის,  
ის კი უცვლელად  
მიდის და მიდის...

უცქერს რა ფონად-  
ქმნილ მეფის ჭალას,  
ჰედ კონა-კონად  
შერჩენილ ჩალას,  
ისმენს მთების ბანს,  
სად ნანგრევი ჩანს  
და შორიდან ვანს  
ის აძლევს სალაშს.

ასე სიმაღლე  
ნაირ-ნაირად



ହାନ୍ତି, ସାଧ ଦ୍ୱାରା ସାକ୍ଷଳେ  
ଘାଣିଗଲିବିଲା ତିରାଦ.  
ନିଜାଙ୍ଗାଖିର ସ୍ଵରଳିତ  
ଦାଗ୍ଯାନ୍ତେଦୁଲାର,  
ଦାଫ୍ନାନ୍ତେଦୁଲାର  
ପଥ ଦ୍ୱେଳ ନାହିଁପିରାଦ.

\* \* \*

ქარგია სახლი  
 ფაზისის პირად,  
 იმ ეზოს ახლაც  
 იგონებს ხშირად,  
 ლამაზსა და საღს,  
 ნახულობს ბევრ სახლს,  
 მაგრამ იმის მსგავსს  
 პოულობს ძვირად.

შუამთის აჩედ  
 შემორგულ ეზოს  
 სუფთას, უწყნარესა  
 და უმიზეზოს  
 თდეს ქარი ქრის,  
 ის ქედსაც არ ხრის,  
 მაშინ იგი მტრის  
 გულს ლახვრად ესოს.

თითქო უცქერის  
 უხილავ უფალს —  
 ისეთი ფერი  
 ჰქონდა ალებალს;

მიუშვერდა პეშვეს,  
იგონებს მის ეშხს,  
რამდენჯერ მის ქვეშ  
ცხენი გადუბამს.

და ყვავილთ გულის  
ფრთა ერთოთ ტყემლებს,  
როს გაზაფხულის  
ქარი ხერხემლებს  
გადაუხრიდა  
ზედამთის მხრიდან,  
რარიგად ხრიდა  
გრძნობიერ ცრემლებს.

გადაუხრიდა...  
ვით თრთოდა ნუში,  
ალუჩა, კიდევ  
ალუჩის ბუში,  
გულს ისრად მოხვდა,  
ოხვრა აღმოხდა —  
თითქო ეს მოხდა...  
ეს მოხდა გუშინ.

და რხევა სავსე  
ქაქლის ხეების  
და ჩრდილი, მსგავსი  
სამოთხეების,  
იმ ჩრდილში რბენა,  
ფოთლების ფენა  
და ხეთა სმენა  
მძლეთა მძლეების.

ჭინ გვიცდის, გველის  
ლანდი ხეების —  
ცაცხვების — ვრცელი  
სიმაღლეების.



დინჯი, დიადი  
დგომა მუხების,  
ხმა ქარში მათი  
ამოქუხების

და შუადღისად  
სიცხის მოალვის  
გარე აწვდილან  
ტოტები ალვის.  
წყნარად და დინჯად  
დგანან აქ მიჯნად,  
თავს ხრიან ნიშნად  
იდუმალ ქრძალვის.

მგრძნობნი სიმაღლის  
ჭადრები, თელა,  
ტოტები კაკლის  
ვეებერთელა  
სწრაფ და ვნებიან  
გრიგალს შებმიან,  
დასჯახებიან  
არაერთხელა.

ვაშლების ჩრდილი  
უზარმაზარი,  
ვაშლით სუნდელილნი,  
როგორც სანძარი,

რაც შემკობილა  
 ლამე თუ დილა,  
 მსგავსი ყოფილა  
 ან საღმე არი?

რაოდენ ბევრი  
 მსხალი და თხილი,  
 რა მრავალფერი  
 სხვადასხვა ხილი  
 მზით დაიწოდა...  
 მზემ გაიწოდა,  
 როს არ იცოდა,  
 რაა წუხილი.

სმირად ასულა  
 უდიდეს ხეზე,  
 არ დაქანცულა  
 იმ სიმაღლეზე,  
 ვინ გასცემს ხმასა?  
 აზრი აქვს მასაც,  
 ასრულებს, რასაც  
 მოიმიზეზებს.

კიდემდე კიდით,  
 ვით ლურჯი ბინდი,  
 თავს მაღლა მიღის  
 ლურჯი სიმინდი.  
 სიმინდის ლეროვ,  
 დროა იმღერო,  
 „რაშო და ჩერო“  
 დვლავ „ინდი-მინდი“.

დასავლით ისევ  
სინათლე მინდის —  
შოლომდე მისდევს  
სუნთქვა სიმინდის,  
სუნთქვა წრიალებს,  
ტოტს აფრიალებს,  
ზიაშრიალებს  
და მოდის, მიდის.

სიმინდი შორს და  
ცის დასავლამდე  
მოჩანდა, თრთოდა  
სრულად შავ ზღვამიტე.  
რამდენი ძალა,  
რამდენი ჩალა!  
ასე ეს ჭალა  
იტევდა რამდენს.

ასეთ სიმაღლით  
არც ისე მწირად  
მას ახსოეს სახლი  
ფაზისის პირად.  
მას ელიმება —  
არა წეიმებად, —  
ჩანგის სიმებად  
და ჩანგის წყირად.

ჰაერად წავა  
ზუზუნი სკათა,  
აღმძვრელი მრავალ  
მოგონებათა.

ფიქრთა მთოველი,  
ხმობა ცხოველი  
აი ყოველი,  
რაც მას ებადა:

ლურჯნი ამრიგად  
ცის კამარანი,  
საისლე. იქით  
კიდევ მარანი.  
ცელიც მოისმის,  
მიღდამოის მის  
მგზავრის მოისმის  
პარი-ჰარალი.

სასიმინდე კვლავ,  
იქით ბოსელი,  
იქით ტყე, ახლად  
შესამოსელი,  
ლერწამსა და ქვერს  
და კვლავ ჩალის ლერს  
დაინახავს ბევრს  
აქ შემომსვლელი.

გაზაფხულის ამ  
მშვენიერ ხელით  
კვლავ რამდენი რამ  
ტყითა და ველით  
გამოვლინდება,  
კვლავ აინთება  
და გაბრწყინდება  
შუამთა ძველი.

սուրեն Թոաթլուս  
ցհմնոბա Տամինորագ...  
ան դցաս Տաթլո  
ցանիսօս Աօրագ.



\* \* \*

ფაზის ოცნების  
 მზე არ შექრება...  
 მანდილოსნების  
 იყო შექრება,  
 ვინ სჯობნის თამარს,  
 წრდილსა და თამამს...  
 დიდებულ რამ არს  
 გაპატექრება.

იგი, რაც სხვისთვის  
 მოსაწყენია,  
 ამ შექრებისთვის  
 არის გენია:  
 სართულს სართული —  
 წიგნი ქართული  
 ყდამოკვართული  
 რაოდენია!

აქ არის დავლა!  
 მშეიღობის სწავლა. —  
 მას უნდა მრავალ  
 საფეხურო ავლა.

წიგნის იმ სივრცეს —  
 თქმის ხელოვნებას,  
 მაღალ სიტხიზლეს  
 და გემოვნებას  
 აქვს ალი მზერის,  
 შუვენება ერის,  
 კაცი რომ უმღერის  
 ფიალ ცხოვრებას.

წმინდა რომაა  
 წიგნი ქართული,  
 ამიტომაა  
 ასე გართული  
 მისით კოლხიდა —  
 შარადის მზითა  
 შუბლგახსნილი და  
 წელგამართული.

არავინ ამ დროს  
 წასკლას არ ჩქარობს.  
 არ მუსაიფობს,  
 არ მონარნარობს,  
 უველა მოისმენს  
 ამბავთა ცისფერს —  
 ლამეს თუ ცისქარს  
 და გულით ხარობს.

ზოგი ასულის  
 ოხრავს შეგნება:  
 რომ დასასრული  
 ამ თქმას ექნება.

წუნს ამის გამო,  
 სურს სამუდამო  
 იყოს საღამო,  
 თხრობა, შეკრება.

ასე: მხარი მხარს  
 ცა არ ექცევა,  
 წიგნთა საუბარს  
 ვინც შეეძლევა.  
 იმ წიგნის მაღლით —  
 სხვათა არ დათვლით  
 ღამე სინათლედ  
 ვაღიაეძლევა.

ვინც წიგნთან დიდხანს  
 და დიდხანს რჩება,  
 გამარჯვებაც მას,  
 მხოლოდ მას რჩება,  
 ყოველი კუთხით,  
 თავის, საკუთრივ,  
 სიცოცხლეს უდრის  
 ეს გამარჯვება.

მოედო ცისკარს  
 ლრებლების ქულა,  
 კითხვა მაინც არ  
 დამთავრებულა.

დგას ფრინველთ უგარის  
 უივილ-ხივილი,  
 არავითარი  
 გულის ტკივილი.

არა აქვს ვისმეს,  
 ყოველი ისმენს  
 ხმას მომაისეს,  
 ისეა ტკბილი.

აქ არის სრული  
 წიგნი ამდენი,  
 წიგნი გმირული  
 საქმის ჩამდენი —  
 ლექსი, ამბავი,  
 ყდანალამბავი  
 დაუსტამბავი  
 კარაბადინი.

ქალი ხმით ნაშით  
 არის შთენილი  
 და სილამაზით  
 გამოჩენილი.  
 გული სნეული  
 აქ მოჩევეული  
 ხდება გრძნეული  
 ხმით მორჩენილი.

პირველი ქალი  
 იტყვის: — ვერ დაღლი,  
 აქ სიტყვა არი  
 ოქრო ბაჯაღლო.  
 სახე თამარის  
 სარქე რამ არის —  
 სულის გამტანის  
 ჩჩევა, სიმაღლე.

ამბობს სხედ მწველი  
 ქალი ქართველი:  
 — ასეთ მკითხველის  
 არ ვარ შნახველი.  
 მაინც და მაინც  
 ვრგონებ მაისს,  
 გამიქრა რაიც  
 მქონდა ნალველი.

და ასე: ყველგან  
 გამოჩენილი  
 სახელისაგან  
 სხივმოფენილი  
 მანძილთა ვრცელთა  
 ასე გავრცელდა  
 სილამაზე და  
 სახე კეთილი.

ასე მმიჯნავი  
 ქი ქალი იგი,  
 წესანიშნავი  
 თხრობის ტარიგი  
 ფიქრობს: „რა ძლიერ  
 დროთ სელა განველიე...  
 წიგნი, ტარიელ,  
 გვიღობის წიგნი!“

ისმის წრდელი ხმა  
 ბანოვანების,  
 ოცნებავ, ტყვე ხარ  
 თვალთა ზმანების,

ჰანგტა ლამაზთა  
ქალთა ამათა  
ხმა მიამატა  
ალფროვენების.



რა სჯობს ქალთ იმერთ  
კრებას, ბუნების  
მრავალუამიერთ  
ავუგუნებას.  
მასში მიღამოც  
სიმღერის გამო  
ისხამს სხვა სამოსს:  
მზის დაბრუნებას.

\* \* \*

თოვლია თანდათან  
 დადნა ან ღნება,  
 პქეცხს მწვერვალთაგან  
 მისი ღინება.  
 ეს სიხალისე  
 გაზაფხულს მყისვე  
 მზით ისევ ისე  
 მოეფინება.

გაზაფხულია —  
 ვარღების ქრეფა,  
 საღლაც ბულბულის  
 გაისმის ყეფა.

იქ იაღონი,  
 აქ სტენა შაშვის,  
 კისკისი რამდენ  
 ათასი ბავშვის...

ყველგან სიმწვანით  
 ველი ირთება  
 და მას ნიავის  
 სცემს აზვირთება.

გუშინ აქ ნელი  
და გუფთა-გუფთა  
ჩანდა ღრუბელი  
ბროლივით სუფთა,



მაგრამ ეს რაა,  
ფაზისის სახე  
ეხლა რადაა  
ფერმოცახცახე?

ორომტრიალით  
და ბორიალით  
მწვერვალი მორბის,  
დაეშვა ზვავი!..  
მას უერთდება  
მრავლით მრავალი  
ნიალვართ წყება  
ძირს შთამავალი.

მიწა და მღვრიე  
წყალი ხეეული  
არს ყოველივე  
ერთად რეული...

რაც კი მოგორის  
წყარო-ნაკადი,  
ამოხეთქს, როგორც  
ხელით ნახატი.

ისიც ყველასთან  
ერთად ასკდება  
ფაზისის, რომელსაც  
ჯერ არა სწყდება



ମନ୍ତ୍ରମେନ୍ଦ୍ରିସ ଦାତ୍ର  
ଦା ମିଳି କୋଟି  
ଶୀଳାଦାତ୍ର  
ଶୀଳିସ ପିଲାଦେଖି...

ଫୁଲିସ ମନ୍ତ୍ରମିଲାଦେଖି  
ଶ୍ଵେତିସ ରାତି ଏହି,  
ରାତି ମନ୍ତ୍ରମିଲାଦେଖି,  
ଦିନି ଶ୍ଵେତି ଏହି,  
ରାତି ଏହି ପିଲାଦେଖି  
ନାମିରିସ ରାତି,  
ଶ୍ଵେତିରତେଥି ମିଳାଏହି,  
ଶ୍ଵେତିରତେଥି ମନ୍ତ୍ରମିଲାଏହି..

\* \* \*

ნაპირზე რომ კრითის  
 ლანდი გვიანი,  
 ადგილით იძვრის  
 ის ნაბდიანი,  
 აქ დანაბადი  
 იძვრის ნაბადი,  
 მაინც ეს ლანდი  
 მხნეა, მზიანი.

გასცემის ტიყეს,  
 შილამოს მხნედა,  
 ვინ უნდა იყოს  
 ის ჭაცი ნეტა?

ეცნობი ანგრევს  
 ღამეს ქუნაპეტს, —  
 იღებს და გაჰქრავს  
 იგი ქვეს-აბედს.  
 გზას ბნელი ჩაგრავს,  
 გზას ბნელი აქრავს, —  
 ისევე გაჰქრავს, —  
 ბრწყინვას უცაბედს.

თივეას დანარჩევს  
 ედება ალი.  
 იმ ჭამსვე ამჩნევს  
 იქ მდგარის თვალი,  
 რომ დინება ძირს  
 ტალღათა მძაფრთა  
 აპა, ხაბოს პირს  
 გაუთანაშრდა.

იქნებ გზას ასცდა?  
 და დაიხია.  
 ავიდა, სადაც  
 მკვიდრი რიყეა.

მაგრამ დაუხვდა  
 წყალი იქაცა,  
 უცნობი წუხდა  
 და დაიქანცა.

გზები წყალს ისევს  
 ასე უცაბედს,  
 ნაბდის ქვეშ ისევ  
 გაჰქრა კვეს-აბედს.

მას იპყრობს ურვა,  
 ფიქრთა მობურვა...  
 — წყევლა და კრულვა  
 ამნაირ ამინდს...

გაანათა. წევს —  
 მწუხარე არე,  
 გააფორებულ დევს  
 ავგავს მდინარე.

განცდათა მძივი  
მიღის, ვით ტივი,  
ესოდენ ტივი,  
ესოდენ მწარე.



ასეთი ძნელი  
იყო ფაზისი,  
მოულოდნელი  
მორდვევა მისი —  
კუხილი, რისი,  
გამოსვლა რიყით,  
გაურდვევ ციხედ  
მობურვა ნისლის.

ნაბდის ქვეშ მხარი  
რომ მოიღუნა,  
უცნობი არი  
ეგი, გეგუნა.

ის წუხლა, რადგან  
ეამი მწუხარე  
სოფელს მოადგა —  
წყალი მქუხარე...

ლელვაშ ქველავ ქაფად  
დაიბუბუნა,  
და მაინც სწრაფად  
იწევს გუგუნა,  
გზას იკვლევს ძალით,  
ყველგან დგას წყალი...

აგერ, გზაც არის  
შრავალ ბილიკით,  
აგერ ტაძარიც,  
შიოლტეის იგი.



კიბით ის, აპა,  
ავიდა კიდევ;  
ფიცარით მანახა  
ურუევი კიდე.

ზარის ენის რა  
ჰპოვა ბაწარი,  
მოსწია, მალავრად  
დარეკა ზარი.  
ჰექა გაისმა —  
ისმის ზარის სმა,  
ძახილი — რისხვა —  
ჩანს, რაღაც არი...

ბნელ შუაღამით  
ჭილითი კიდე  
გრგვინავდა ზარის  
ძალა-სიღილე.  
ჰუნდა სმა იგი,  
მერე რა რიგით  
ხევების იქით,  
ჰედების კიდეს.

განიერცო დიდალ  
ჭამთ სიღიადე,  
გასჭრა, გაწყვიტა  
წყვდიადის ბადე.

როგორც ქერა ფილტვის  
უწარმაზარი,  
სოფლისკენ ილტვის —  
გუგუნებს ზარი.



უეცარია  
გულთა დუღილი.  
სროლამ არია  
შექა-ქუხილი,  
რომ მათთან მხარით  
მრისხანე, ჩქარი  
გრიალებს ზარი,  
როგორც წუხილი.

„შეიგნე ტალღათ  
ძალია სიძლიერე,  
თორემ გვიანღა  
იქნება მერე,  
ღამეო, ბნელო,  
ვაზო და მდელო,  
აქ სურთ, რომ თელონ  
სიმშევნიერე“.

აქა-იქ სოფლად  
ანთებენ სანთლებს.  
გააქეთ ფუსფუსი  
ნათელზე ლანდებს.

ვით დახავსება  
და ცივი არის  
რაღაც მსგავსება  
შორეულ კვარის,



მერთალიად ჩანს, კრება  
ქალთა სახება,  
აცახცახება  
ეზოსი, კარის.

ახლოა ფაზის  
რისხვა საშარი,  
გრიალებს ქარი,  
გუგუნებს ზარი.

— გარეკეთ ჩქარა  
 ეს საქონელი,  
 აიღეთ ჩალა  
 შესაკონელი. —

დარბის, ქაქანებს  
 მოხუცი ბუბა.  
 სიტყვა ცოცხალი,  
 სიტყვა მოწყალე  
 ჩქეფს, მაგრამ წყალი  
 არ დაიგუბა.

— შენ აქ რას ეძებ,  
 ზეინაბ, ბაბა,  
 ა, იმ სის წევერზე  
 აცოცლი, აბა!

არ წააგო ქი  
 კენწერის თავი,  
 ადი, გაგვიგე  
 ქვეყნის ამბავი. —

ის მეტობალი სახის  
გოგონა, ფეხზე  
გაისძის, ადის  
ქაქლის ხის წევერზე.

— უუ!.. რამ სიგრძეა,  
მომშერა თვალები,  
ეს რა სივრცეა,  
გენაცვალები.  
კოლხიდის მთელი  
ავსილა ველი  
აუწერელი  
ფერისცვალებით.

სივრცეს რამეს სხვას  
ჰგავს აქაობა,  
ზღვაა, ზღვა, აი  
სანახაობა!

ა/სად ფაზისის  
არ ჩანს ნაპირი,  
წყალს დაუნისლავს  
ჭალაქი ხშირი. —

აზიდეს მაღლი  
კათხა და ყანწი.  
წიგნები ძველი  
ხელნაწერები —  
კაცთ ძლიერების  
ძვირიფასი განდა.

జారుత్వులో సిర్పువాలు  
 నమశింపు అర్థార్థాలు,  
 సాక్షల్శి కొ కింతక్కువాలు  
 అక్కెవ్వులు మార్తార్థాలు,  
 గాంఠీర్ధుల్లో లూ  
 రాపు మాం గ్రంథాలం,  
 సాసుంఘాతా  
 గామి శ్వేచ్ఛార్థాలు...

శ్రిగ్రూ మిస్ డాల్జీషి  
 అరోస్ పెంచ్రువ్వులో  
 మాండ్లా న్యూగ్రేషన్లాడ  
 డాల్జీత శ్రేష్ఠించ్రువ్వులో,  
 గ్రూప్ మిస్ ఎంజ్యోల్స్,  
 రంగంర్చు త్యు శ్రీంజ్యోల్స్,  
 మశ్మంబల్మిశ్రు మిష్టిల్స్  
 మక్కుర్లఫ్ఫీమ్యూచ్రువ్వులో.

ఒ, ర్యూస్టాచ్చులైన్,  
 ఓ, డిండం శ్రోతా,  
 మస్గాచ్చుసాడ త్యు కాప్రెం  
 ప్రెంచ్రువ్వుల్లా గాప్రువ్వుల్లా.  
 ర్మ్లుల్లో మాంచ్చు గాస్ట్రోఫ్లా,  
 రాపు గ్రూప్ల్శి ఫ్రీటంఫ్లా.

మస్గాచ్చుసాడ త్యు తంగ్లుతా  
 మిణ్డించ్ ల్లుల్జీన్స్,  
 గాండా భేచ్చర్లు గ్రెత్కెంగ్లు  
 సామ్మంబల్లు క్ష్యేన్స్?  
 అంబల్సా లూ క్ష్యేల్స్  
 క్ష్యుతక్కెత మతా లూ క్ష్యుల్స్,

გვთხოვდა განა ბევრს  
 საშშობლოს ბჟენი?

ცოტას სინათლეს,  
 ცოტას სიშვიდეს,  
 რომ ერთის ნათესს  
 სხვა არა მკიდეს,  
 ცოტა იმ მწირის  
 წიგნს და სიგმირეს,  
 ასე სულ მცირეს,  
 არა უდიდესს.


ხომ შეგიგნია,  
 რაიც მისია:  
 ხმალი, წიგნია,  
 თუ სახნისია —  
 თუ ვისმეს ესმის  
 ძახილი ეს მის,  
 თავს ნურეინ ესხმის —  
 წესი ისეა.

აჩნდა თვით წაესსაც,  
 რომ ივერია  
 გულით ინახავს,  
 რაც კი სწერია

წიგნში, რომელიც  
 დიდი წანია —  
 სახელად „ვეფხის  
 ტყაოსანია“.

ასე. საგზალიც  
 თავინს აზიდეს,

ამეღამ წყალი  
მოსწყდესთ კიდეს.  
წიგნსა თუ რეეულს,  
ზრუნვით დახვეულს,  
საგანს თეთეულს  
ზრუნვადა ხდიდეს.



არყოფნას აკლდა  
სულ ცოტა რამე,  
ხალხს არ სძინავდა  
არც დღე, არც ღამე,  
იღგა ჩაგრული,  
ბედისგან კრული,  
ჯვარზე გაკრული,  
როგორც მოწამე.

იყო ოღონდაც  
სიმწარე-შიში,  
მედგრად მოპქონდა  
წყალს იერიში.

უოველ ეზოს და  
უოველ იმ გზაზე  
- ის მიღიოდა  
ჯიქურად, ასე  
მრისხანე გახდა,  
მთლად გაპარტახდა,  
რაიც კი დახვდა  
მოფიანდაზე.

კერა სად წახეს  
ჩაუმტერალ-ცხელი?  
რამდენ მოსახლეს  
მოსწყვიტა წელი!  
ან კორიანტელს  
ვინ ანდობს სანთელს,  
იმედს წინანდელს  
მოესვა ცელი.

წამხდარი სველი  
აქვანი, გობი,  
სიმინდი მთელი  
წლისა სამყოფი.  
კიდევ ცოტა დრო  
მაშინ, ცის მაღლით,  
წყალმა დაიკლო  
ძირს მთელი-ადლით.

ფაზისი გახდა  
ძვლავ უწყინარი,  
ზღვისკენ არ სხარტად,  
ნელა მდინარი.

მაგრამ რამდენი  
დატოვა შლამი,  
სამს წელიწადი  
მოუნდეს სამი —  
გზები განიდოს,  
არე გასწმინდოს.  
შლამი განიდოს,  
გააშროს ლაში.

შეიგნით და გარეთ  
დამდგარა შლამი,  
ტალახში არის  
პურპელი, დგამი.  
მით უვნებელი,  
სუფთა და მრთელი,  
ხელუხლებელი  
არ არის რამე.

— აბა, ბიჭებო, —  
ამბობს გუგუნა:  
— თავში კინჩხზემოთ  
ჩამიყაკუნა  
ორმაცლაათმა...  
მაგრამ ვით დავთმო...  
ვერჩა წყვდიადმა  
ჯერ ვერ გამლუნა.

დაიძრას საქმე!  
ნიჩაბი, ბარი...  
შეზობლისადმი  
გრძნობით გამთბარი  
ეს ათი კაცი —  
მხნე და მამაცი  
აქაა, ასწი  
თუნდ მთა და ბარი!

სახლს სულს უბრუნებს  
ახალგაზრდული  
გული, გუგუნებს  
გუგუნას გულიც,

Ըալածն, Շլամ...  
Տղղ թուրե ցամ...  
Ճա օլան առնս  
Շլամն ցհճնեցլո.



Ցըլացնո ա՞յ մարշացը լ  
Ճապարութեալ լուս  
Ճա կը հապ և իրագուալ  
Ցա պարութեալ լուս.  
Ցոսաելլո չը հապ  
Եցալս առ ոչ յարուս,  
Հա մօսո կը հուս  
Եցալս և օսելլուս.

Ու պելո կը հանց  
Ճապարութեալ լուս,  
Եթեա մօսաելլո  
Ոչ յարուս տցալլուն.  
Ցա պարութեալ լուս  
Ու պարութեալ լուս  
Ճա կը հանց  
Եցալս և օսելլուս.

Կապամ գոնչ սանոտ  
Անսենա պիտ  
Ամա ռաջանուս  
Տոմենք, Ցարայտ

Ճա կապամ ըրտալ  
Ցա պարութեալ լուս  
Ցա պարութեալ լուս  
Եթուս և նեցատա.

\* \* \*

წავიდა გვიან  
ეს წყალდიდობა, —  
ხეს ხე არ ჰქვია  
და ხიდს ხიდობა.  
გახედეთ რას ჰგავს,  
რაგვარიად ნასკვავს  
აქ ბედის ვარსკვლავს  
უამინდობა.

ირგვლივ ღრმებით  
ჩვენი გზა-შარა  
აწ თრმოებით  
გადაიტარა.

გარედან-განით  
თხრილების ფერდი  
ბიბინებს მწვანედ,  
როგორც ხავერდი.

მხრით სხვადასხვათი  
სწრაფად მოძრავი  
დაცურავს ათი-  
თხუთმეტი ნავი.

მათ მოვლეს ფაზი  
და სჩანან ასე,  
როგორც ლამაზი  
უფრთო ნიავი.



ფიქრთ განუახლებს,  
ჰრუნვას უდიდებს,  
ავთანდილ სახლებს  
მათ მიუთითებს.

ქოხი რომ იდგა,  
მიცურდა ნავი,  
ქოხშიაც თითქო  
არ ჩანდა არვინ,

მიუდგა ბჭესა,  
კვნესაა? კვნესა.  
არ ჩანს, ესაა —  
კვნესაა მხოლოდ.

და მალე, წყალთა  
ბრქყალს გამოცლილი,  
გადმოჰყავთ წყალთან  
დედა და შეილი.  
დედა ოდნავ კრთის,  
ძლიერს სუნთქვას, თრთის,  
ტირის, ცრემლსა ღერის  
პატარა, ჩვილი.

ეს მერამდენე  
არის ნეტავი,

რომ ჩან განდევნა  
ზშანება შევი...



აგერ ეროდეც!  
ყველაფერს ხედავს,  
მაგრამ რა, ოდეს  
ვერაფერს ბედავს?!

ბედი სდევს აფა, —  
ეს როგორ მოხდა?  
რომ მასაც ნავი  
არა ჰყავს კოხტა, —

გასცუროს, საქმეს  
შეხვდეს საჩინოს,  
ჰირს მყოფი საღმე  
გადაარჩინოს!

ახლო კი, ოდეს  
ყველაფერს ხედავს...  
აგერ, ეროდეს  
ცოლი სახლს ხვეტავს,

თვით კი გულდასმით  
საწინახელს სინჯავს, —  
გაუხრავს ჩინჩის!  
და ბოლოს დინჯად  
განწრახევას ამხელს.

— ასე განსაჯდე:  
გამოდგეს ნავად, —

მთარგო საჭე,  
 გასინჯა კცლავად.

ო, ვერ მიასწრებ  
 ვერასგზით ოდეს,  
 რაიმე აზრებს  
 მისწვდეს ეროდე.  
 მიდის საწნახლით,  
 მიცურავს მაღლით,  
 გულის სიახლით  
 მიიმღეროდეს...

საჭით ძრაობა  
 შეიქნა ძნელი,  
 სულ გორაობდა  
 ის საწნახელი.

საქშე ხედა ძნელი,  
 გეზი გამრუდდა  
 და საწნახელიც  
 მყის გადაბრუნდა.

შემქრთალი სახის  
 მქონე ეროდე  
 აწ გაიძახის:  
 — ცაო, რა გცოდე...

ვერ შველის მკლავი,  
 ბედმა უმტყუნა,  
 მაგრამ მსწრაფლ ნავით  
 გაჩინდა გუგუნა.

ეროდეს დია  
უყლაპავს წყალი,  
გატრუნულია,  
იქნებ დამხრივალიც!

ასე, თანდათან,  
როგორც ყადრია,  
ეროდე სახლთან  
გადმოათრიეს.  
ცოლის სინაზე,  
ყოფნა ბინაზე  
არასდროს ასე  
არ უნატრია.

ეროდე სახლთან  
გდია, ვით მქვდარი.  
— აბა, რუსუდან,  
მოშე ბაწარი,  
ბაწარი მოშე,  
მოვაბრუნო მე  
ეს ყრმა როგორმე  
ასარ-ბასარი.

ხედავ, მოდუნდა,  
ვერ დგება ფეხზე.  
ეროდე უნდა  
დავკიდოთ ხეზე,  
გამოვაჩინოთ  
ხეზე საჩინოთ...

შისწვდნენ თოკით და  
გულგამეხებით

მსწრაფლ ჩამოყიდეს  
 ხეზე ფეხებით.  
 ყელით მრავალი  
 მოდინდეს წყალი,  
 კედება საშუალი,  
 ვერ შეეხები..

ვინც ვერ გაარჩევს  
 ნავს და საწნახელს,  
 ვერ გადაირჩენს  
 ვერასდროს სახელს!

დრო აზ იცდიდა.  
 საჭეს სწვდნენ მკლავით  
 და იმ არიდან  
 გავიდნენ ნავით.  
 აწ ავთანდილმაც  
 განვლო მანძილი.  
 შორს გადაწედილი  
 ასე ზღვასავით.

მოუსვა ნიჩაბს,  
 დაენდო საჭეს:  
 „ხომ არავინ ჩანს?“ —  
 „კეცს მკლავ-მაჯას, —

„თუ იმალება  
 საღმე ხიფათი,  
 თუ იმალება  
 საღმე წვალება —  
 კაცო ევალება  
 ზნე, მარიფათი...“

\* \*

შორს გაჰყურებდა  
 ტბას, მღვრიედ ნაფერს,  
 ზეინაბ ხიდან  
 პეტერდა ყველაფერს:

ზღვა დიდებული  
 გაშლილი იყო,  
 ვით სელისგული,  
 საზღვარწაშლილი,  
 აფრაც შორს, ლილის-  
 ფრად მოქარგული.

იორის მსგავსს და  
 სხვა რამ ცვლილებათ  
 ის შეამჩნევდა  
 აუცილებლად.

ეხლაც რაღაც შორს  
 გამოჩნდა შავი,  
 რა უნდა იყოს?  
 რაა ნეტავი?

თვალებზე ერთად  
 თითოთა მიღებით

ლაქა შიაშტერდა  
 დაბეჯითებით,  
 და არ აშორებს  
 იმ წერტილს თვალებს,—  
 ლაქა ბერებს,  
 სჭრის წყალთა რკალებს.

იქ იყო შარა,  
 ეხლა წყალია.  
 ჩანს ვინმე ჩქარად  
 მომავალია,  
 გარღვევა მხედარს  
 წყალთა სწალია,  
 მაგრამ ზღვას ხედავს;  
 თანაც ცხადია,

რომ ინიშნება  
 ხელით რაღაცას...  
 „მხედავს, იქნება“...  
 თვალით რაღა ცას  
 შესჩერებია.

უცებ ავთანდილს  
 ხმა შემოესმა,  
 გრძნობამ, ცათამდის  
 უსასოესმა,  
 გაშალა ფრთები.  
 სოქეა: იქნებ ვცდები?

იმ აღგილისკენ  
 მოუსვა ჩქარა,  
 მარჯველ სივრცისკენ  
 ნავი მიჭხარა.

პსწრაფლ მისრიალდ,  
 იმ იღვილს ნავი,  
 სიდ მღვრიე წყალთა  
 დულდა ამბავი,  
 მოჰყავს კაციც,  
 გადარჩა აწ ის.

— მომეცი, მოდი,  
 შენი მარჯვენა,  
 ეიღუბებოდი,  
 რომ არა შენა!

თქვა მგზავრმა, როცა  
 გადვიდა ნავზე,  
 შუბლზე აკოცა  
 მაღლობით სავსემ.

ეს იყო და ეს,  
 მგზავრი გაჩუმდა,  
 სიტყვა რა არის,  
 არ უთქვამს, სდომდა.

მოხრილი, მუხლები  
 ეწყო ხელები,  
 რაღაც აწუხებს  
 არ განელებით.

მოედო მზე რა,  
 შეუკრა მზერა  
 და მისი ცეცრა  
 ჰქონდის განელებით.

ცაშე ბრწყინვალეს  
ვერ სჭირებდა მზესა,  
მზე სჭრიდა თვალებს,  
რაღაც მოესმა,  
თითქო ხმა ზარით  
იძროდა არედ...  
და მწარედ, მწარედ  
ამოიკვნესა.

მთლად მოიხარია,  
მთლად მოიკეცა,  
ნავში არარად,  
უხმოდ დაეცა.

ამის მნახველი  
ავთანდილ სწრაფად  
სწვდა ორთავ ხელით  
ძალდაქარგულ მგზავრს,  
მგზავრი კი დიდხანს  
ვერ ამბობს სიტყვას,  
სულს ძლივსლა ითქვამს,  
თვალებსაც ნაბავს.

საჭე, ნიჩაბი  
ნავში მიპყარია,  
იმავ სისწრაფით  
გადაიხარა,  
შესძრა რა მხარი  
სულმოუბრძავ მგზავრის,  
ნაპირზე ფრთხილად  
გადმოიყვანა.

კერძა ციმციმებს.  
— გათხით, დაბრძანდით,  
მქევლად სიცივეს  
კარგა ხანს ჰყვანდით. —

მგზავრიც მას ითხოვს,  
აწე განაზღეს ჩალ!  
სხვასაც მოითხოვს,  
მაგრამ უეცრად,  
უეცრად ფერი  
დაედო მტვერის  
და ყველაფერი  
დაეშვა ზეწრად.

ჩატომ მას ფერი  
დაედო მიწის?  
ხომ არაფერი  
მოხდა? ეინ იცის?  
აპა, ბაგესაც  
აღმოხდა ქვნესა,  
რალაც უღრმესად  
მასში იღვიძებს.

თქვა: — ვგრძნობდი ღრუბელს,  
მე რომ თან მდევდა,  
სწედებოდა უბეს,  
აღრჩობდა სევდა.

— გასინჯეთ უბე  
სამოსის ჩემის,  
იქ ცრემლთა გუბე  
მქონდა ედემის,

గాసిన్నాడెత కార్పగాద,  
గాజీ, అన్నాడ గార్పగా,  
తన్న డామీకార్పగా  
సిప్పాప్తెల్లు నీచిం.

గాసిన్నాడెత లొప్పే,  
ఘారుతల్లాపు, లొప్పేశి  
అంధమహిన్నదా ఇమా  
మగ్హింపురిస న్నుప్పేశి:  
ప్రిగ్ని-ర్వాపులు,  
ప్రిగ్ని-గ్రంథులు,  
శేషంస్యోపులు  
సాప్పేరుఫిత, మేశిత.

ప్రిగ్ని, జీంపుసట్టరాద  
స్యుల మతల్లాడ సిప్పేలు...  
ప్పెర వ్యాప్తాప్తదా,  
కీండా, జీసిప్పిలు.  
కీండా, ప్రిసమార్ప  
శ్వాల్పిడా గార్ప  
ప్రా మంచ్ఛుమించ్చు,  
ప్రా మంమతింప్పులు.

ఇస వ్యంత ప్రిగ్ని  
సాగ్రహితా, ప్రమిన్నదా,  
సాశ్చ వ్యాప్తి  
డా గాప్పాప్తిప్పిన్నదా.

మిప్పిడా, గ్భీన్చేంచిత  
డాశ్చేడా జీసిప్పిలు  
డా మంచ్ఛింప్పేంచిత  
మిస ప్రాప్తిప్పులు ప్పిప్పులు

ემთხვით გულით  
აძერებულით,  
გულით, სისრულით  
სიცოცხლის მთველს.

— ავიტანდი ჭირს  
შრავალგვარს, მჯერა,  
შხოლოდ ამ წიგნის  
დაკარგვას — ვერა!  
ის არის ჩემი  
ნუგეშის მცემი,  
სიცოცხლის გემი  
და ბედისწერა.

ვინ იტყვის იმის  
თავგადასავალს,  
კრიგალს შავი ზღვის,  
სხვა ავანჩავანს.

ბეჭე დააქცია,  
გზა მოაქცია  
და მოაღწია  
ამ ჩვენს სავანეს.

გადარჩა ძველი  
რა წიგნი ესე,  
რაა ყოველი,  
რაც მე ვიკვნესე. —  
ჯამაათ-ჯარმა  
იოცა, მგზავრმა  
რა დაამთავრა  
ამბავი ესე.

ოჯახში ძველი  
 ის წიგნი იგრძნო  
 და ტარიელიც  
 მსწრაფლ გამოიცნო.  
 ყველა აღელდა,  
 ლელვას ამხელდა,  
 თვალს გაახელდა  
 კელლებიც ვინძლო.

ფეხზე ადგომით  
 თვით მიწამ, ზენაშ  
 შესძახა ქრთომით:  
 — ტარიელ, შენა?  
 თუ ახალ ძალად  
 ცა გაიშალა,  
 არ ეყოთ ძალა,  
 არ ეყოთ თმენა.

და მგზავრის ლანდის  
 აღელდა სასო:  
 — მე ვარ, ავთანდილ!  
 მე ვარ, ძვირფასო.  
 საღაა შოთა,  
 ის ასწერს მხოლოდ,  
 ვით ეხვეოდა  
 მგზავრს სამბოროდ  
 მთელი ოჯახი —  
 დიდი და ბალლი...

სიხარულს მოსხლტა  
 ტბა მრავალგვარი,

თვალთაგან მოსკედა  
 ცრემლების ღვარი, —  
 კვლავ ცრემლთა დენა,  
 კვლავ ვარდთა ფენა,  
 — ტარიელ, შენა?  
 გრგვინავდა ქარი...

შუბლს დაესახა  
 ცისიერება,  
 მისთვის ესაა  
 ბედნიერება,  
 იქმნეს კვლავ წრფელი  
 სინათლის მქნელი  
 სიცოცხლე, მთელი  
 ქვეყნიერება.

იგრძნო შშეიდობის  
 კვლავ გარემოცვა  
 და ცრემლი გრძნობის  
 მოადგა, როცა  
 სიზმარი ავი,  
 მგზავრობა მწვავი,  
 ზმანებათ ზვავი  
 სლგას, მზემ ამოსწვა.

ავთანდილშა როს  
 მოაღო ქარი,  
 ტარიელ ამ დროს,  
 კვლავ წიგნით მდგარი,  
 წიგნს მოწიწებით  
 შლის, ეფიცება,

თან განმტკიცება  
ეტყობა მძლავრი.



— გამოიღვიძე,  
ტარიელ? — ჰეითხა.  
— ქვეყნის რა იცი,  
ავთანდილ, მითხარ...  
— არშესაწყნარმა,  
დაუვიწყარმა  
დაიკლო წყალმა...  
მოწყენით ვით ხარ?

გრიგოლი გრგვინვით  
რომ არყევდა რტოს,  
მას ჰქონდა ლხინი  
წყალდიდობის დროს,  
აწ ვერ აჩალებს,  
ვერ დააჯვახებს,  
როგორც ყაჩალებს —  
წყალსა და ხაბოს.

მაგრამ დღეს სხვაა.  
დღე დღევანდელი,  
არა ოხვრაა  
და ერუანტელი.  
დღეს მშეიღობის მზე  
გაანათებს გზებს,  
ხალხს ნუგეშსა სცემს  
იმედთ კანდელი.

რამდენ ხანს კიდევ  
გსურს, ჩემო ხვითო,

ხეზე ეკიდო  
 მაგ ტოტებს ზევით?  
 გეკითხები, ჰო,  
 გსურს, რომ მანდ დაპყო?  
 ჩემო ყაჩაღო,  
 ზეინაბ, ქვევით!

აბა, მძინარევ,  
 ჩემო, თუ არა...  
 გადაიარე  
 ეზო და შარა.  
 ვინც სახლში არი,  
 ყველას უთხარი:  
 უცხო სტუმარი  
 გვეწვევია, ჩეარა!

სადილზე ადრე  
 შეკრბენ, ეით ძველად,  
 არ ჩამოვარდე,  
 ჩამოდი ნელა.  
 აცნობე კია,  
 რომ ჩვენ გვეწვია  
 უცნობი ძია;  
 მოვიდეს ყველა.

— ეხლავე. — გულით  
 იძახის ბავშვი  
 და სიხარულით  
 ეშვება ბალში.

მისი ხმა მალე  
 გაისმის ყოველ

შეკას: — ბაბალე,  
მეცხრან, იოველ,  
თქენი გიშვევთ მამა,  
სტუმრად გვყავს ამო  
კაცი. მის გამო  
გეძახით, მოველ...

ფენენ ხალიჩებს,  
ქსოვილებს რამეს,  
გულს ახალისებს  
და თვალს აამებს;  
სხედან მშობლები  
და მეზობლები —  
ყველა სოფლელი  
მტეხელი ღამის.

ავთანდილმა თქვა:  
— რაკი დასხედით,  
დავძრათ ჩვენაც ხმა.  
კმა ვიყოთ ბედით,  
სიახლეთ მოვლელი!  
დარდები ძველი  
განქრეს ყოველი  
თქვენის იმედით.

მეხებთან ლალად  
ჩონგურით, ქნარით  
რომ გაგვეშალა  
სუფრა იქ, გარეთ...  
მაგრამ, ეჭ, ძმობა  
აქაც იგრძნობა...

ჩა შეალდიდობა  
 გამოვიარეთ!

იყოს ოცნება  
 და სიხარული,  
 პატიოსნებას —  
 სული და გული!  
 ვინ დაიწყნაროს  
 სისხლი მდუღარე,  
 გუშინ მშენარე,  
 დღეს მხიარული

— მაში მხიარულად  
 იგრძენით თავი,  
 გავტრათ მხარულით  
 ყოველი ზვავი,  
 თითქო არ მდგარა  
 აქ ნიალვარად,  
 არრა მომხდარა  
 გულდასაწვავი.

და საუბართა  
 იმათ სიმრავლის  
 ბეჭედი გაქრთა  
 ზრდილობის, სწავლის.  
 სიტყვა მდიდარი,  
 მოუსყიდარი  
 მიმოქრის, ვითარ  
 სიტყვა რუსთაველის.

— დროა შეიღოს  
 სიბნელის კარი,

ଶୁଣି ମନ୍ତ୍ରେ ଯୁଗରୁ  
ଏବଂ ଗୁଣି—ଜ୍ଞାନରୂପ。  
ଜ୍ଞେତ୍ରସାନ୍, ନିନ୍ଦା,  
କ୍ଷେତ୍ରମିଳିନ୍ଦିନର,  
ଏବଂ ମନ୍ଦିରିଷ୍ଟ୍ୟିନର  
ଶୁଣି ଶ୍ରୀମାନ୍ଦିର...

ଯେତାନ୍ତରିଲ୍ ରୀତ୍ୟାଗିଲି:  
— ଏହି ହେ ତାମିଳ  
ମନୀରତଙ୍ଗାଶ, ବିନିମୟ  
ଏବଂ ଗ୍ରୂପାଶ ମେଘାଶ...

ଦାଲ୍ଲୁଶୁଲ ବ୍ୟନାଶ  
ମିଳି ସାଧଲ୍ଲେଗରକ୍ଷେତ୍ର,  
ବାର୍ତ୍ତାନିଲି ବ୍ୟକ୍ଷେ  
ବିନିମୟ ମନ୍ଦିର ଲୋକ...

ତ୍ରୈଵେନ ମିଳି ଘମିନବିନି  
ମନ୍ଦିରମେନାଶ ଲାମିନି  
ମେଚ୍ଛ ହରିତ ବିନିନବିନି  
ଏମଦାଶ ଗିନିନବିନି.

ଗାନ୍ଧିନୀରୁତି? ଏହି, କ୍ଷେତ୍ରରୁ  
ଭୂତିନିନିନି ବିନିରାତ,  
ମନ୍ତ୍ରେଲି ସନ୍ତମ୍ଭେଲି  
ଶ୍ରୀକର୍ଣ୍ଣା ତାତବିନିରାତ.  
ଏହି, ସାଧାଚ କ୍ଷେତ୍ରରିନି  
ସିନ୍ଧୁରକ୍ଷେ-ବିନିରାତରିନି  
ପୁନର୍ଭାବ ବିନିରାତ  
ଶୁଣି ଶିଥିର-ଶିଥିରାତ.

ღამეთა მთენი  
 შეკრბა სოფელი,  
 ამბობდა: ჩვენი<sup>1</sup>  
 შემამეობელი,  
 ჩვენი წყვდიადის  
 და განთიადის  
 წიგნი, მარადის  
 მანათობელი.

ჩვენი ძვირფასზე  
 ძვირფასი წიგნით  
 ვიდოდით ასე  
 გარეთ და შიგნით.  
 ნათელით მისით  
 წრტელით, ფაქიზით  
 ჩვენ მარადისი  
 გზები გავიგნეთ.

წიგნების მზოგვარს,  
 ჩვენ ძველისძველი  
 გვიყვარდა, როგორც  
 სიმართლის მცველი.  
 მოხდათ ავი  
 რამე ამბავი,  
 მოსკდათ ზვავი  
 შავი და ბნელი.

დამცველებს ვგვანდით  
 ძეელ ასოებით,  
 წიგნს ვინახავდით  
 ჩვენ სასოებით.

დავკარგეთ ასე,  
დაგეადგა თავზე  
ეამი, აღსავსე  
ამაოებით.



მაშინ წარმოდგა  
ყმა ტარიელი,  
სიტყვა წარმოსოქვა  
ერთობ ძლიერი:

— წავალ, მოვკვდები  
ან ვიპოვი წიგნს,  
არ შევუდრკები  
დაბრკოლებათ რიგს.  
როს თქვენი ნება  
წინ წამიძღვება,  
იქ დაბრკოლება  
რაა, რასა იქმს?

ეს იყო და ეს...  
სპეტაკი, წრფელი  
გაუდგა შორს გზებს  
ყრმა ტარიელი...

თხრიბა ძნელია,  
დარღს ვინ ატანდა,  
ათი წელია,  
რაც ის არ ჩანდა...

განმბნევი კვნესის,  
მომტანი დარის  
და, აი, დღეს ის  
აქ, ჩვენთან, არის.

३८ शेर्मलाकुरा  
 हिंगेन्स गुलावी शिंगनीत,  
 चिंगनीत शिंगनीरा,  
 शिंगनीलैस चिंगनीत...

— वार्षा ट्रार्हिंगलैस।  
 अस्त्रिंत भुवाला! —  
 भुवानीत दार्हिंदलैस  
 गुर्हेन्नोंदम ठाला  
 डा मिंगलौ गुर्हो! —  
 अमेरि-अमेरि  
 श्वेषब्दलौशुर श्वेषरीत  
 आगरींदला!

मोर्झिंग इम शुर्मिंदौस  
 क्वेलाव शुपा शुमिता  
 स्वेषा स्वेषता श्वेषिस  
 श्वेषिस शुपामिता.  
 मिंगुवालौता चिंमिता  
 स्वेषेहौदात, स्विंदौत  
 श्वेलौ शुपामिता,  
 श्वार्हगौ शुपामिता.

კვლავ დევს პგავს ნამდვილს  
 მუხა იმ გზაში,  
 ეხლაც იმ ადგილს,  
 იმ შუამთაში,  
 სად ჩანდა ჩრდილი,  
 გზად შედგა წყვილი,  
 იმერი ზრდილი  
 ქალი და ვაერი.

ვითარცა მზეთა  
 მგზნებარე, ძალი,  
 ახლა აგზნებდა  
 ორთავეს ალი.  
 გრძნობით ღვარულით,  
 არდაფარულით  
 ვაეს სიხარულით  
 ეტყოდა ქალი:

— ტარიელ, გმადლობ,  
 ეზო პგავს ეზოს;  
 ყოვლად უბადლოს  
 და უმიზეზოს.

უნდოდეს ვინმეს,  
ვერ მისწვდეს წიგნებს,  
გზას ვერ გაიგნებს  
რაგინდ იკვნესოს.

მე გითხარ ერთგულს  
ჩემი ღრმა სევდა,  
შენ გარდა ჩემს გულს  
ვინ გაიგებდა?!  
შენ იგრძენ ყველა,  
რა დარღიც მწველად  
მწვავდა იმხელად  
და ბნელს მიგებდა.

მაშინ, რა ვუყოთ,  
მწარედ დაღამდა,  
დრო უპასუხოდ  
ხომ არ დაამდა!  
განვიდა ქამი.  
დღეს გაქრა შხამი,  
ცისკრის წამწამი,  
ჰა, ახამხამდა.

ვხედავ, დიადად  
რომ აუ გათენდა,  
ო, განთიადო,  
დიდება შენდა!  
ვხედავ, გათენდა! —

\* \* \*

ხეალის დღის გვჯერა:  
 ჩვენი ალლოა,  
 ჩვენი სიმღერა:  
 ის სახალხოა,  
 სიცრცეა, დროა,  
 მზე თუ ქარია,  
 რაც სახალხოა,  
 უტყუარია!  
 გულს უხარია,  
 იმედთა გროვა,  
 უტყუარია,  
 რაც სახალხოა!

გულო, დაშვეილდა...  
 მტერი განიბნეს,  
 გვაქვს განძი დიდი,  
 არ გართ ლარიბნი:  
 ძლვნილი შენ მიერ  
 აშე გვინათს ძლიერ  
 წიგნი, ტარიელ,  
 მშვიდობის წიგნი!

## სტატია

83

### ხალხი — ოქტომბერი

„წინ, წინ, სამშობლო მხარევ“	5
„რაც გაღმოირჩეა“	10
„მოძრენილი სულით და გულით“	11
„პატიო საუსეა სალამის ყინვით“	12
„იყო მდიდარი სახლის ერთი პატარა კუთხე“	13
„ქალაქია ბენელთა“	15
„წინ, წინ, სინათლისაეკნ!“	17
„ქალიშეიღლი წიგნით!“	21
„მუდმივ თოვლით განათებულ“	22
„გვახსოვს თეტომზრის ღლეთა სიღიღდე“	24
„და დაღუმდა ათასი შოა“	26
„კვრიძნობის არ გვიჩსნის“	27
„გამჭრეს ბრელი ურიაშეული“	28

### ხალხი აშენებს ახალ ქვეყანას

„ვთქვათ მთად სამშეო“	31
„აქ ჩილულ ოცნებას“	32
„ჩევნ გავიარეთ“	35
„სალამი ხასი ქონულეონე“	38
„შევი ზღვის პირად“	39
„თითქოს რაღაც იმბავი გაუგია“	41
„მთილან მოანე ციხარტყელა ანათებს“	42
„ნაძვის ზეებს ელევარება“	43
„ზევიდან ბრწყინვის ცა წმინდა“	47
„სიმაღლეებსე აღმართულო“	49
„დაღზე დიდი გამარჯვებით“	51
„მათ საფლავებს“	53
„იმაოცემა!“	54
„მიანგრითა რა მთა“	57
„გემი გიო არ იცნობს“	59
„ისტორიულად მეღვარ ჰენებით“	60

▪ ▪ ▪ „අතුරුස මහායාල ගාන්තාසුල තිලිස“	
▪ ▪ ▪ „කේල්පුරුහුලුදා“	
▪ ▪ ▪ „රුහු පුරුහුලුදී ජේදත් තෙවැනින“	
▪ ▪ ▪ අනෙකු කාශ්‍යාන	
▪ ▪ ▪ අනෙකු උපාලාස	
▪ ▪ ▪ „අදුරු, දැනකිගාම වෙළඳුවාස පාමුණු“	70
▪ ▪ ▪ „තක්මලිසිස මතානි ගෙදුහානිනි“	71
▪ ▪ ▪ „දැඩාද මිශ්‍රුරුහුත්පට්පලුද්ඟුන“	72
▪ ▪ ▪ „සාලාමික උපාසුරාස ප්‍රාථිතානුධාස“	73
▪ ▪ ▪ „සාරුජමුදා සාලාමිති“	74

### නොලිං මොනිකෝස ව්‍යුගිලුණ්ඩාස

▪ ▪ ▪ „සාලාද අර පුන්දා වැඹ්නුය“	79
▪ ▪ ▪ „කාල්ක මුශ්‍රුභ්‍රාම්ඩා“	80
▪ ▪ ▪ „ජේඩා මත්මුගිත, ජේඩා දුජ්සිත“	82
▪ ▪ ▪ „ඇඳා ගි උරුණ“	84
▪ ▪ ▪ „ජේවරා රාම මාස්ස වේ ගේවෙනිතානි“	85
▪ ▪ ▪ „යුදුලාස, ජේශ්‍රිනිල්ස නාම්මුතානි“	87
▪ ▪ ▪ „මිග්න්‍යාජුරුකදුය, ජාදාගුදුකදුය“	88
▪ ▪ ▪ „රූගා පාලුමිසා, ව්‍යුගිලුණ්ඩා රූගා“	89
▪ ▪ ▪ „ප්‍රයෝගුරුඩ ජේකඩාසා මික්දුස“	90
▪ ▪ ▪ „සැයිඩ ත්ලුයිස නාමින්ස“	92
▪ ▪ ▪ „අපුරුෂ, දාපුරුෂා“	93
▪ ▪ ▪ „ඩ්ලුගුරුඩ ඩ්ලුගුරුඩ“	94
▪ ▪ ▪ මිත්ති ව්‍යුගිලුණ්ඩාස	98

### බ්‍රේගිසා දා තාරුග්‍රිස ජින්නාභ්‍යිජුව

▪ ▪ ▪ „පියුරුගුරිස ගුලුව්“	121
▪ ▪ ▪ „සාලාමින තානාද“	123
▪ ▪ ▪ „මින්ඩු රුදුයිස“	125
▪ ▪ ▪ „මිග්ල තාරුග්‍රිස“	126
▪ ▪ ▪ නිනුතා	128

### නොලිං පාරිඛිස ගාරුහ්මණුවාසි

පාරිඛිස	135
---------	-----

### ඩුඩිස විශ්වාචුගාන වැජ්නුරුල ග්‍රෑන්ඩ

▪ ▪ ▪ පෝ, සාඟ ව්‍යුහාසුරු ග්‍රෑන්ඩ උපාසුරාස“	147
▪ ▪ ▪ „මුද්‍රුඩ්ස තිශ්වාත සාක්ෂිලුද්ධී“	149
	291

• • • „ დილის ბალიდან“	152
• • • „ ნისლი მოილიან მიღდის დაბლა“	154
• • • „ ამ თადესმე მხიარული“	155
• • • „ ჩემოთილან წამოსული“	156
• • • „ უსპეტაკესი ზეცა“	157
• • • „ რა კარგია, მყინვარო“	159
• • • „ აფხაზეთის წვიმა მიუვარს“	160
• • • „ ამ შემოღვომის“	162
• • • „ ო, გაზაფხულო“	163
• • • „ რისთვის მავონებ“	164
• • • „ პირველ ივებისტის ღამით“	165
ტუა	166
• • • „ მიცურავს როგორც ხომალდი ზღვაზე“	167
• • • „ ვაზები გარეალი“	169

### პოეტი — ხალხი

• • • „ გმირის სახეს“	173
• • • „ არის მკიონხელია“	174
• • • „ მოხარული ვიყავ“	175
• • • „ შეხედე“	176
• • • „ სეულთა სინდისი, სისპეტაკე“	178
• • • „ განა ლექს სიკედილი ღამისლებს“	180
• • • „ ურეშს ღილის სიმწირის აღიათ“	181
• • • „ გიორგი, ეხლა“	182
• • • „ ეს იყო წინათ“	183
• • • „ იღია მღერის“	185
ო, ნანა, ნანა, ნანა	186
• • • „ მე ეუსმენდი ხალხს მომღერალს“	189
შეკიდობის წიგნი (აღვილები ლეგენდა-პოემიდან)	191

რედაქტორი რ. თრიკონიძე  
ტექნიკაქტორი ა. ლვინიაშვილი  
კორექტორი ნ. ჭავთარაძე

გადაეცა წარმოებას 4/V 57 წ. სელმოწერილია:  
დასაბეჭდად 14/VIII 57 წ. ანაწყობის ზომა 5×8.  
ქაღალდის ზომა 84×108. ნაბეჭდი თაბახი 18.5.  
უ. 01491. ტირაჟი 7 000. შეკვ. № 292.

ნაქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
მთავარპოლიგრაფიამომცემლობის ბეჭდებითი სიტყვის  
კომისიატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

\*

Комбинат печати Главполиграфиздата  
Министерства культуры Грузинской ССР.  
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5



Галактион Васильевич Табидзе

Сочинения

т. VIII

(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР

Тбилиси

1957



არაგვის ცენტრული ბიბლიოთეკა



K 26.361/2